



ილორი

www.ilori.ge



ქართული
გაზეთთა
კავშირთა
კავშირი

№137 (196)

20-27 სექტემბერი

2011

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო

30 თეთრი

საქინფორმში 90 წლისაა!

ძვირფასო საქინფორმის მკითხველებო! 2011 წლის 10 სექტემბერს, აღდგენილ საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო „საქინფორმში“ ზუსტად ერთი წელი შეუსრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქინფორმი თავისი 90 წლის იუბილეს ზეიმობს!

ცოტა რამ ისტორიიდან: საქინფორმი, როგორც რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს საერთოკავკასიური სამმართველოს (РостТ) განყოფილება, 1921 წელს დაარსდა. მოგვიანებით, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 6 მარტის დადგენილებით, ამიერკავკასიის სატელეგრაფო სააგენტოდ გადაკეთდა. 1936 წლის ბოლოს მას საქართველოს სატელეგრაფო სააგენტო (ТрестТ) ეწოდა, რომელიც საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს (ТАСС) საკავშირო და უცხოეთის სამსახურის შემადგენლობაში შედიოდა. 1972 წლიდან ის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საინფორმაციო სააგენტო იყო, რომელიც 1990 წელს ეროვნულ საინფორმაციო სააგენტო „საქართველოდ“ გადაკეთდა, მაგრამ ახალი სახელწოდებით ვერ დამკვიდრდა და 1995 წლიდან საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმი“ საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის სტრუქტურაში შევიდა. ასე გრძელდებოდა 2004 წლამდე, მერე კი სააგენტომ არსებობა შეწყვიტა.

2006 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს საინფორმაციო სააგენტო – საქინფორმი“ დედაქალაქის ცენტრში მდებარე (მისამართზე: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №42) მის კუთვნილ პრესტიჟულ შენობასთან ერთად (საერთო ფართი 5388.8 კვ მ), რომელიც არქიტექტურული ძეგლების ჩამონათვალი შედის, აუქციონზე გაიტანა და 5 მილიონ 50 ათას დოლარად მიჰყიდა ფიზიკური პირების ჯგუფს – საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ინკოგნიტოდ დაარსება ახჯობინეს.

ოთხი წლის შემდეგ, 2010 წლის 10 აგვისტოს, დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კოლექტივმა აღადგინა საქინფორმი, უკვე როგორც საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო, რომლის ვებსაიტზე www.gruzinform.ge რუბრიკებში – „პოლიტიკა“, „საზოგადოება“, „აქტუალური“, „სამართალი“, „ანალიტიკა და ინტერვიუ“, „რელიგია“, „უცხოეთი“ – წარმოდგენილია ინფორმაციის ფართო სპექტრი პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების სოციალური ცხოვრების, საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევისა და უცხოეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანალიტიკურ მასალებს, ექსკლუზიურ ინტერვიუებს და ჟურნალისტურ გამოძიებას, საქართველოს მართლმადიდებელი



ეკლესიისა და მისი წინამძღვრის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციას, საეკლესიო კალენდარს, რომელთაც სააგენტო მკითხველებს ყოველდღიურად აცნობს.

ფოტოგალერეასა და ვიდეოარქივში წარმოდგენილი სლაიდშოუ, ტელევიდეოები, ფოტო და ვიდეორეპორტაჟები აშუქებს ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც საზოგადოებისათვის განსაკუთრებულ შემეცნებით ღირებულებას წარმოადგენს და მკითხველს საქართველოსა და მისი მოსახლეობის დღევანდელ ყოფას აცნობს.

რაც შეეხება რუბრიკას – „რედაქციისაგან“, ის სააგენტოს ჟურნალისტთა კოლექტივის ქმედითი იარაღია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ აზრის დაფიქსირების ანდა ამა თუ იმ საჭირობორტო საკითხზე, რამაც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია, ექსტრემალური განცხადების გაკეთების საშუალებას იძლევა.

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ ვებსაიტი www.saqinform.ge (www.gruzinform.ge) საქართველოში სააგენტოთა იმ მცირე ჩამონათვალი შედის, რომელიც ქართული და რუსული ენის ენებზე აქვს, ამიტომ მასალების შერჩევისას გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი აუდიტორიის, ისე საზღვარგარეთ მცხოვრებ მკითხველთა ინტერესი.

გასული წლის განმავლობაში საინფორმაციო-ანალი-

ტიკურმა სააგენტო „საქინფორმმა“ დაიმკვიდრა საკუთარი სახე, რომლის განმასხვავებელ თავისებურებებს წარმოადგენს ანალიტიკური მიდგომა და ობიექტურობა არსებული სინამდვილის აღწერისას, მიუხედავად მისი უსახურობისა და პოლიტიკური კონუნქტურისა, და საზოგადოების მიუკერძოებელი ინფორმირება შესაძლო პრევენციული ზომების მიღების მიზნით.

სააგენტოს პრიორიტეტს არა მასალების რაოდენობა, არამედ მათი აქტუალობა და ექსკლუზიურობა წარმოადგენს. ემთხვევა თუ არა რედაქციის აზრი ექსპერტთა – პუბლიკაციების, მიმოხილვითი მასალების ავტორთა და ინფორმაციის წყაროთა – თვალსაზრისს, მოცემულ შემთხვევაში არავითარ რთულ სა თამაშობს, რადგან საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმში“ კრეატიული თავისუფალი ტრიბუნის დათმობა ყველასთვის, თუნდაც, კარდინალურად განსხვავებული მოსაზრებებისთვის, რაც საზოგადოებას განსჯის საშუალებას აძლევს, ხოლო დასკვნების გამოტანის პრეროგატივა მთლიანად მკითხველისთვის მიეგინდვია.

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ მონაწილეა „PIA НОВОСТІ“-ს ახალი პროექტისა – „Сто Сторон“ – დსთ-ის, ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს საერთო გაზეთი (www.100storon.ru), სადაც ის საქართველოს წარმოადგენს.

საქინფორმს აქვს საკუთარი გვერდი შემდეგ ინტერნეტრესურსებზე: google.com; [facebook](http://facebook.com); [twitter](http://twitter.com); youtube.com; livejournal.com; delicious.com; memori.ru; my.mail.ru; yandex.ru; odnoklassniki.ru; vkontakte.ru; surfingbird.ru.

2011 წლის 25 იანვარს საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ საქმიანობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა, რომლის სიტყვებიც განთავსებულია საიტის მთავარ გვერდზე, საქინფორმის ლოგოს გვერდით.

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ რედაქცია 90 წლის იუბილეს ულოცავს ყველა საქინფორმელს – ყველას, ვინც მუშაობდა და მუშაობს საქინფორმში: ჟურნალისტებს, რედაქტორებს, კორექტორებს, სტილისტებს, მთარგმნელებს, მთელ შემოქმედებით კოლექტივსა და ტექნიკურ პერსონალს!

ეულოცავთ ჩვენს ძვირფას მკითხველებს და ვარწმუნებთ, რომ საქინფორმი კვლავაც მათი ერთგული იქნება. დამერთაძენას, დადგეს დღე, როცა საქინფორმი მხოლოდ სასიხარულო მოვლენებს გაცნობებთ!

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო

„საქინფორმი“

მკითხველის პალატაში აუთოქაბას ალაიანის სიროსლე ემსხვერპლა



ერთი მადაროელის, 35 წლის თემურ გაბრიადის, სიცოცხლე ემსხვერპლა 9 სექტემბერს ტყიბულში მინდელის სახელობის მადაროში მიმდინარე აფეთქებით სამუშაოებს.

მადაროს მმართველი კომპანიის ტექნიკური დირექტორის მოადგილე ავთანდილ ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ „ქვანახშირის მოპოვების დროს დაირღვა ტექნოლოგიური პროცესი“, თუმცა მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ამ შემთხვევის გამოწვევას ზუსტ მიზეზებს დაადგენს.

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდენტ თამაზ დოლაბერიძის განცხადებით, წინასწარი ინფორმაციით, ქვანახშირის საბადოს აფეთქებითი სამუშაოებისას თემურ გაბრიადე შეუსაბამო და არაუსაფრთხო ადგილას

იმყოფებოდა, რამაც გამოიწვია მისი დაშავება. მოგვიანებით კი, მადაროდან ამოყვანის შემდეგ – გარდაცვალება.

თამაზ დოლაბერიძის ინფორმაციით, ამ შემთხვევის შედეგად სხვა არავინ დაშავებულა. ბოლო სამ წელიწადში მადაროელი გაბრიადე უკვე მუათე მსხვერპლია. 2011 წლის იანვარში მომხდარ აფეთქებას ერთი მადაროელის სიცოცხლე შეეწირა; 2010 წელს ამავე მადაროში მარტსა და აგვისტოში მომხდარი ორი აფეთქების შედეგად რვა მადაროელი დაიღუპა, ხოლო 2009 წლის დეკემბერში ერთი მადაროელი ემსხვერპლა დამცავი ჯგუბირის ჩამოშლას.

ტყიბულის მადაროს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანია „საქნახშირი“ მართავს. ამ ჯგუფის დამფუძნებელია დეპუტატი მმართველი პარტიიდან დავით ბეჟუაშვილი – დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელ გელა ბეჟუაშვილის ძმა.

იანვარში მომხდარი აფეთქებისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა მადაროს მფლობელები ამგვარი ინციდენტების გამო და განაცხადა, რომ მათ მორიგი აფეთქება არ უნდა შერჩეთ. ამ გაფრთხილების შემდეგ სამართალდამცველებმა კომპანიის ორი თანამშრომელი დააკავეს სამთო სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის ბრალდებით.

საქინფორმი

საქართველოს სახელმწიფო გირგვლიანის ოჯახს 50 000 ევროს 26 ოქტომბრამდე გადაუხდის

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნავს, რომ „სამინისტროს იურისტებსა და სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატებს სტრასბურგის სასამართლოს განჩინების შინაარსი სხვადასხვაგვარად ესმით“.

„2011 წლის 26 ივლისს ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი – საქართველოს წინააღმდეგ“, აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილისა და კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევა დაადგინა. ამავე დროს, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მოთხოვნა, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) არსებითი მხარის დარღვევას უკავშირდებოდა. სასამართლომ, ასევე, უარყო განმცხადებლის პრეტენზიები კონვენციის მე-3 (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა), მე-6 (სამართლიანი სასამართლო განჩინების უფლება) და მე-13 (უფლებათა დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი საშუალებების უფლება) მუხლების საგარაუდო დარღვევის შესახებ. ევროკონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ განმცხადებელს

მიანიჭა 50 000 ევრო – მორალური ზიანის, ხოლო 388 ევრო მის მიერ გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით“ – აღნიშნულია განცხადებაში.

როგორც სამინისტრო განმარტავს, განჩინების აღსრულების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში სახელმწიფო ევროპული სასამართლოს მიერ განმცხადებლისთვის მიკუთვნებული თანხის გადახდას განჩინებით განსაზღვრულ 3-თვიან ვადაში – 2011 წლის 26 ოქტომბრამდე, უზრუნველყოფს და ამის შესახებ მინისტრთა კომიტეტს აცნობებს, რომელიც აღსრულების პროცესს უწყვეტ ხელამხედველობას.

როგორც ცნობილია, სანდრო გირგვლიანი 2005 წლის 27 იანვარს ოქროფანის ტყეში აწამეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. დანაშაულის ეჭვმიტანილის სტატუსით კულ-ის 4 თანამშრომელი – აღანია, ბიბილურიძე, ლაჭავა და აფციაური დააკავეს, რომელთაც 7-8 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მოგვიანებით მათ პრეზიდენტის შეწყალების შედეგად ჯერ სასჯელი გაუნახვერდათ, ხოლო შემდეგ ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ. სანდრო გირგვლიანის ოჯახი მკვლელობის დამკვეთებად შს-ის მაღალჩინოსნებს – ვასილ ხანოძეს, დთა ახალაბას, ოლეგ მეღვინეოს, გურამ დონაძესა და მინისტრ ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო საღაყიას ასახელებდა.

25 სექტემბერი — ბიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღეა

გიორგი ჭყონდიდელი საქართველოს ყველაზე დიდსა და უფრო ადამიანურად ნებისმიერს დასაყრდენს მართვა-გამგებობაში და საერთო პოლიტიკურ საქმიანობაში ეხმარებოდა. მას გარს ეხვევენ ისეთი გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: არსენ ივლიანოვი (სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, ფილოსოფოსი და პიროვნება, რომელმაც დავითის დახმარებით ივლიანოვი მონასტერთან დააარსა აკადემია და მისი პირველი რექტორი იყო), იოანე პეტრიწი (დიდი ფილოსოფოსი, რომელმაც ფილოსოფიური ნაშრომების გარდა, დავითთან მნიშვნელოვანი თარგმანი და ორიგინალური ლიტერატურული მემკვიდრეობა. სათავეში ედგა გელათის აკადემიას), დემეტრე (დავით აღმაშენებლის მემკვიდრე, რომელიც მამის სიცოცხლეშივე აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვაში. საყურადღებოა მისი პოეტური შემოქმედებაც. დემეტრეს „შენ ხარ ვენახი“ დღესაც ცოცხალი პოეტური საგალობელია) და მრავალი სხვა.

მაგრამ მათში მთელ სამეფოში განსაკუთრებული ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობდა გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელიც მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო სახელმწიფოში. იგი სათავეში ედგა მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას (როგორც დღევანდელი „პრემიერ-მინისტრი“), თანაც იგი იყო მეფის აღმზრდელი და უერთგულესი მეგობარი. მართალია, გიორგი ჭყონდიდელის შესახებ მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება — ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით სად დაიბადა იგი, ვინ იყვნენ მისი მშობლები, სად სწავლობდა ახალგაზრდობაში, მაგრამ როგორც დავითის ისტორიკოსის თხზულება გვეუბნება, გიორგი ჭყონდიდელი იყო „კაცი სრული ყოველითა სიკეთითა სულითა და ხორცითა, სასვე სიბრძნითა და გონიერებითა, განსჯის სიბრძნითა, სვიანის და ფრთხილად, თანად-ზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგამაყვანი ყოველითა გზითა, საქმეთა და დედათა მისთა“ („ქართლის ცხოვრება“). აქედან ნათლად ჩანს, რომ გიორგი ჭყონდიდელი ყოველი ყოველმხრივი (სულით და ხორცით) უნაკლო, ბედნიერი, მოხერხებული, ყურადღებიანი, მეფის თანამოწავე მასწავლებელი და მისი ყველა გზის თანაგამაყვანი (ე. ი. მეფესთან ერთად ყველა დაბრკოლების დამძლევი).

მაგრამ როგორ გავიგოთ „თანად-ზრდილი აღმზრდელი“? ზოგიერთი მკვლევარს „თანად-ზრდილი“ თანატოლის მნიშვნელობით ესმის, რაც, თან თქმა უნდა, სწორი არ არის. მაგრამ არც ის მოსახერხებელია სწორი, რომლის მიხედვითაც „თანად-ზრდილი“ ვითომ ახლობელს ნიშნავს, რადგან ქართულ ლიტერატურაში (არც ძველში და არც ახალში) არსად არ გვხვდება ეს სიტყვა „ახლობელი“ ან ნათესავის სინონიმად. მაშ, ბოლოს და ბოლოს, როგორ გავიგოთ ეს „თანად-ზრდილი აღმზრდელი“? ჩვენი აზრი ასეთია: ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელი, როგორც დიდი მოწავე და მასწავლებელი, მუდამ ერთად ბჭობდნენ, ერთად იკვლევდნენ და თავიანთი აზრების მეგობრული გაცვლა-

გამოცვლით მიდიოდნენ ამა თუ იმ ჭეშმარიტებაზე. ისინი განუწყვეტლივ ერთად დაიქმნენ იმ გზას, რომელიც სჭირდებოდათ თავიანთი დიდი იდეის, საქართველოს გაერთიანების განსახორციელებლად. ალბათ, ამიტომაც დაახასიათა მემკვიდრემ გიორგი ჭყონდიდელი, როგორც დავითის „თანად-ზრდილი აღმზრდელი“, ანუ ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ — თანამოწავე მასწავლებელი.

მასწავლებლის თანამოწავეობა კი სულაც არ გაუკვირდება იმას, ვისაც ესმის მნიშვნელობა ლათინური თქმისა: „სანამ ვასწავლით, ჩვენც ვსწავლობთ“, რაც, ალბათ, ჩვენზე უკეთ იცოდა დავითის ისტორიკოსმა. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და ფილოლოგი თედო ჟორდანიას ვარაუდობს, რომ გიორგი ჭყონდიდელი ყოფილა დავითის ძმა დავით აღმაშენებლისა, მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა უარყოფს ამ მოსაზრებას. თუმცა თ. ჟორდანიას ამ თვალსაზრისში ეჭვის შეტანა ზედმეტ სიფრთხილედ მიიჩნევა მარტვილის ეროვნული მუზეუმის დირექტორს, ვივი კლიაგას, რომლის აზრით, გიორგი ჭყონდიდელი წარმოშობით ბედიანელი და სამეფო კარის ახლობელი უნდა იყოს. პროფესორ შოთა ბადრიძის აზრით, „ყველაზე უფრო ბუნებრივია, რომ ჭყონდიდელად მეგრელი ტომის კაცი ყოფილიყო გამოჩენილი, რადგან აქაურ მრევლთან საერთოებრივად მას მეტი უპირატესობა ექნებოდა“. რა თქმა უნდა, უთუოდ გასაზრებელია პროფესორ შ. ბადრიძის ეს მოსაზრება, რომელსაც მხარს უმაგრებს ის ლეგენდებიც, რომელთა მიხედვით გიორგიმ ჭყონდიდის სანახებში აიღო ფეხი, აქვე აღიკვეცა ბერად და სწორედ აქვე, იმ ადგილას, რომელსაც დღეს ხალხი „დადიანების საბანაო“ ეძახის, აბანაებდა მომავალ მეფეს. ასეთივე აზრი ხომ ქართული პროზის დიდოსტატს კონსტანტინე გამსახურდიას აქვს თავის რომანში გატარებულში, რაც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ამაზე დაყრდნობით უთუოდ მისაღები ჩანს იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომ ლეგიონ ამტკიცებენ, რომ გიორგი ჭყონდიდელი წარმოშობით მარტვილის მხარისა და უნდა ყოფილიყო, რომ სწორედ მარტვილს აქვს უფლება გიორგი ჭყონდიდელის მშობლიურ კუთხედ ივარაუდებოდეს.

როგორც დავითის ისტორიკოსი გვეუბნება, გიორგი ჭყონდიდელი იყო ყოველი თურთ სრული და ბრძენი კაცი, რომლის უნივერსალური გონების საიდუმლოცაოდ მარტო ისიც კმარა, რომ მან აღზარდა და „ხელმწიფობა ქვეყანა-ქმნათად“ მოაზნა და მეფე ტიტანი დავით აღმაშენებელი, რომელშიც ერთი ყველაზე დიდი ქართული სინათლე და რომელმაც „ისევე შექმნა საქართველო, როგორც დემეტრემ სამყარო“. აღიარებული ფაქტია, რომ აღსანიშნავია და აღმზრდელი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთისადმი პატივისცემა და სიყვარული. ამას გარდა, აღსანიშნავია სათვის აუცილებელია აღმზრდელისადმი რიდი, თავმდაბლობა, ერთგულება. ყველა ეს თვისება მომეტებულად ჰქონდათ მომადლებული დავით მეფესა და მის აღმზრდელს — გიორგი ჭყონდიდელს, და ამიტომაცაა, რომ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს სხვა მათებრი გამზრდელი და გაზრდილი.

დავით უდიდეს პატივს სცემდა გიორგი ჭყონდიდელს და ისე ეთაყვანებოდა მას, როგორც ალექსანდრე მაკედონელი არისტოტელეს. თუმცა, ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ ეჭვის თვალთ დაუწყო ცქერა თავის მასწავლებელს, რომელიც ადრე მამაზე ნაკლებად როდ უყვარდა. დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ურთიერთკეთილგანწყობას კი ბზარი არასოდეს გასწვნიდა. პირიქით, როგორც კი 16 წლის დავითი ტახტზე ავიდა, მან თავისი აღმზრდელი გვერდში ამოიყენა და არც ერთ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს მის გარეშე არ წვევტდა.

დავით მეფის წინაშე მთავარ საკითხად საქართველოს გაერთიანება იდგა. ამ დიდი ამოცანის შესრულებაში მეფის უერთგულესი თანამდგომი იყო გიორგი ჭყონდიდელი. იმ დროს სახელმწიფოში დიდ როლს ასრულებდა ქრისტიანული სარწმუნოება. იგი იყო ხალხის დამრახმავი მტრის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში მეფის ხელისუფლებასთან ვკლესიის თანადგომას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც 1103 წელს, დავით აღმაშენებელმა იმ ერთი კაცის ხელში გააერთიანა ორი დიდი თანამდებობა: საერო — მწიგნობართუხუცესობა და სასულიერო — ჭყონდიდლობა. მწიგნობართუხუცესი მეფის შემდეგ მეორე კაცი იყო სახელმწიფოში, ვინაიდან იგი სათავეში ედგა მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას (როგორც დღევანდელი კანცლერი, პრემიერ-მინისტრი, ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე). ასევე დიდი იყო ჭყონდიდის (ე. ი. მარტვილის) ეპისკოპოსის თანამდებობა — ჭყონდიდლობა (ლ. სანიკიძე). დავითმა ორივე ეს თანამდებობა ერთ მთლიანობაში გადასცა გიორგი ჭყონდიდელს, რითაც მის გამგებლობაში გადაიყვანა ეკლესიის საქმეებიც და სასამართლო ხელისუფლებაც. ასევე დაუმორჩილა ყველა სამოქალაქო ხელისუფალი და დაშქრის სასასლარობაც. ამიტომაც, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ერთსა და იმავე დროს მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ გვამცნობს, რომ იგი „ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უმისო არ იქნების“. კამათალმწერლის დამოწმებით კი „სამეფო და სახლის განგებაც“ მისი მოვალეობა იყო. გარდა ამისა, მეფის მიერ საგანგებოდ შექმნილი ორგანოს — „საჯო კარსაც“ ჭყონდიდელი ედგა სათავეში. მართალია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი სამხედრო ხელისუფალი არ ყოფილა, მაგრამ დაშქრებები და დაშქრის ორგანიზაციის საკითხებიც მის გარეშე არ წვედებოდა. და ამიტომაც იყო, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ტიტულის მატარებელი გიორგი მუდამ იქ იდგა, სადაც საქართველოს უჭირდა. გიორგი ჭყონდიდელი თანაავტორია ყველა იმ დიდი საქმისა, რაც დავით აღმაშენებელმა გააკეთა. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, მან „ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი

გაუფრთხო და გაუფრთხა“. იგი იყო ნიჭიერი და მამაცი მეომარიც. უთუოდ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გიორგი ჭყონდიდელი ბრძოლის ველზე გარდაიცვალა, 1118 წელს იგი მეფეს გაჰყვა ოსეთში, რადგანაც ოსები დარიალის ხეობას ეკრავდნენ და ყივჩაღებს არ უშვებდნენ. არადა, დავით მეფეს განზრახვლი ჰქონდა საქართველოში ყივჩაღთა 40 ათასიანი ოჯახის ჩამოსახლება. სწორედ ამ ყივჩაღთათვის ოსებისაგან სამხრეთული გზის გასათავისუფლებლად ლაშქრობის დროს გარდაიცვალა დიდი ვაზირთუპირველესი გიორგი ჭყონდიდელი. როგორც მემკვიდრე გადმოგვცემს, დავით მეფე ორმოცი დღე ძაძვში მჯდარა გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალების გამო და მისი სიკვდილით გამოწვეული გლოვა მხოლოდ დავითის ძის — ვახტანგის დაბადების შემდეგ შეწყდა. მემკვიდრის სიტყვებით, გიორგის ცხედარი დაუკრძალავთ „მონასტერსა ახალსა“, ანუ ახლად მშენებარე გელათის მონასტერში. ამ სტრიქონების წერისას თვალწინ მიდგას გიორგი ჭყონდიდელის სახე-დამოწმებული კოსტანტინე გამსახურდიას რომანში — „დავით აღმაშენებელი“ და უნებურად მახსენდება ის დიდებული სიტყვები, რომელიც ჭყონდიდელის დასაფლავების დღეს წარმოთქვა მისმა დისწულმა, თორი-ალეთის გამგებელმა თეოდორემ: „საქართველოს დიდო მამულიშვილო გიორგი! ინებოს უფალმა, საქართველოს ხალხმა შენ მოგაბაძოს უკუნითი უკუნიანად მტერთან ბრძოლაში. მშვიდობით ჩვენი ხალხის დაუოკებლო და უკედავო სულს. შენი ხმალი და შენი ჯვარი მარადის წინ გაუძლევა ჩვენს ერს. შენს ხეულს ვერასოდეს იხილავენ მომავალი თაობები, მაგრამ შენს სულს დიახაც უმღერიან მომავლის მატანენი და მწერალნი“.

გიორგი ჭყონდიდელი საქართველოს ისტორიაში პიროვნებაა, რომელიც დიდი ხნის თაყვანისცემისა, ამიტომაც შერაცხა საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად და მისი ხსენების დღედ 25 სექტემბერი (ძვ. სტ. 12 სექტემბერი) დაადგინა. დღეს საქართველოს მხოლოდ გიორგი ჭყონდიდელის იდეებისადმი ერთგულება გადაარჩენს. ყველა ქართველს და მათ შორის გახუთ „ილოხის“ ერთგულ მკითხველს, ასევე სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ყველა გულშემატკივარს გულწრფელად ვულოცო ამ დიდ ეროვნულ და საეკლესიო დღესასწაულს — გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღეს და თავს უფლებას მივცემ ვე წერილი დავამთავრო ჩემივე ლექსით

„ბიორგი ჭყონდიდელს“:

ო, უხუცესო ბრძენო ქართველო და უწმინდესო სულით და ხორციო, შევეურებო ახლა შენს სურათს კრძალვით და ვისხენიებთ შენს სახელს ღოცვით. გიორგებო შენ და ქრისტეს ჯვრით ხელში თავისუფლების მივღებართ გზისკენ, შენც, ალბათ, ცათა სასუფეველში საქართველოსთვის ღოცულხე ისევ.

ვაჟისტ ნადარაია,
გახუთ „მარტვილის“ რედაქტორი

მოგონებანი გარდასულ დღეთა...

“მოზლოკისა ფრონტზე ვიყავ, ჩემი ჯარით, ვით მერანი”

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია, ომის გამოუცხადებლად, ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. მარტვილის რაიონის სოფელ ნაღვსხავის მკვიდრი ისიდორე ანდროს ძე სილაგაძე, მაშინ, გენერალ-მაიორის ჩინით, სომხეთის ქალაქ ლენინაკანში ბაზირებულ დივი-

ზიას მეთაურობდა. მალაღი მხედრული სულისკვეთების მქონე გენერალი და მისი შესანიშნავად გაწვრთნილი დივიზიის მებრძოლები სრულ მზადყოფნაში დახვდნენ მაშინ კბილებამდე შეიარაღებულ მტერს.

ჩვენი სოფელი მალე თითქმის სრულიად დაიცვალა ახალგაზრდებისაგან — ყველამ ფრონტს მიაშურა, ბევრი მათგანი კი ისიდორე სილაგაძეს დივიზიაში მოხვდა. მათ შორის იყვნენ ჩვენი მეზობელი რაფენ ვასილის ძე სულაბერიძე და ჩემი ძმა — სერაპიონ ვლადიმერის ძე ნაჭყვიანი, რომელიც პედაგოგიური სასწავლებლის მესამე კურსიდან გაიწვიეს ფრონტზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სასწავლებელს მაშინ ხელმძღვანელობდა ვარლამ ჯანჯღავა. მალე რაფენ სულაბერიძემ კაპიტნის ჩინი მიიღო, ჩემმა ძმამ კი სერჟანტის წოდებით დაასრულა ომი.

თითქმის ყველა მარტვიელმა ისახელა თავი დიდ სამამულო ომში. როცა მოზლოკის მდამოკლებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გაიმართა, სწორედ მაშინ, სამ ქართველს მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. ესენი იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი კაპიტანი ბუხაიძე და მარტვილის რაიონის მკვიდრი, სერგიეტელი ვლადიმერ კანკავა და მიხეილ გაბოკიძე. აქვე მინდა გავიხსენო შესანიშნავი ქართველი პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის

მიერ ბუხაიძისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელსაც მთელი საქართველო მღეროდა:

“მე ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებში ვწევარ. რომ შემეძლოს საფლავიდან, ძმებო, მხრების წამოწევა. მე სიცოცხლეს ხელმეორედ, შეგწირავდი მშობელ მხარეს, შეგწირავდი იმავე მიწას, დღეს რომ გულზე დამაყარეს...”

მანების საგმირო საქმეები. წარსული ხომ მომავლის მყარი გარანტიაა, რადგან სწორედ წარსულის გაუხუნარმა ფურცლებმა უნდა აღუზარდოს საქართველოს ღირსეული მამულიშვილო, რომლებიც საყოფიერო სიცოცხლის ფასად დაიცავენ სამშობლოს ერთიანობასა და დამოუკიდებლობას!

პატივისცემით,
ბეროლტი ნაჭყვიანი,
მარტვილის რაიონი, სოფელი ნაღვსხავი



ასევე მინდა გავიხსენო მეორე საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ კანკავა, რომელიც თავის თანამემამულეებს მედგრად მოუწოდებდა:

“მოვეკედეთ, მაგრამ, მკერდით შეგვკრათ, დერბენტი და დარიალი!”
პატივცემულო რედაქციავ!
გთხუთ გამოაქვეყნოთ რელიქვია დ ქვეყნით ეს სამი ფოტოსურათი, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ საკუთარ რაიონში დაბადებული და აღზრდილი ად-



თარბა ბორის ბრიგოლის ქე

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვარდეს არველოდი კუბარავას სქელტანიანი წიგნი ხალხი: დრო და ცხოვრება, რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.

რუბრიკით "აფხაზეთის ღირსეული შვილები", გაგრძელებით წიგნიში დასტამებული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

ელობის პედაგოგიური ინსტიტუტში ჩაირიცხა რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

ბორის თარბას პედაგოგიური მოღვაწეობა იწყება 1951 წელს, ბომბორას საშუალო სკოლაში. სწორედ აქ მიიღეს იგი კომპარტიის რიგებში. თავაუღებელი შრომის შედეგად ახალგაზრდა სოფლის მასწავლებელი რუსეთის ფედერაციის პედაგოგიის აკადემიის ნაციონალური სკოლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი ხდება. ამ დღიდან იგი აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ერთვება და პირველ ნაბიჯებს დგამს აფხაზურ სკოლებში რუსული ენის შესწავლის საქმეში.

1958 წელს ბორის თარბამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1980 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია, თემაზე: **„აფხაზი ერის განვითარების საქმეში რუსული ენის სოციალურ-ისტორიული ფუნქცია“**. მაგრამ, მაღალნაყოფიერი სამეცნიერო ნაშრომებისათვის, პროფესორი წოდება მას მიენიჭა ჯერ კიდევ 1976 წელს, როცა სადოქტორო არ ჰქონდა დაცული.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ბორის თარბა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტში იწყებს მუშაობას – ჯერ მასწავლებლად, შემდეგ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ხდება, მოგვიანებით კი – პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. 1978 წლიდან იგი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგეა.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ბორის თარბამ გამოზარდა ასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც დღესაც წარმატებით ემსახ-

ურებიან აფხაზეთის სახალხო განათლების საქმეს და მაღალნაყოფიერად მოღვაწეობენ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ბორის თარბა შესანიშნავად უთავსებდა ერთმანეთს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. მას გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 60-მდე სამეცნიერო ტრაქტატი, რომელთა შორის იხილათ მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ბროშურებს, რომელიც ეძღვნება სახალხო განათლების განვითარებას და აფხაზურ სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების თემატიკას.

ბორის თარბა აქტიურ მონაწილეობას იღებდა სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნისა და სრულყოფის საქმეში. იგი ხშირად მონაწილეობდა მოსკოვში, თბილისში, ადმა-ათაში, ბაქოში, ტალინში, კიშინოვში და სხვა ქალაქებში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, იყო ოფიციალური ოპონენტი მავანთა მიერ საკანდიდატო ან სადოქტორო დისერტაციის დაცვისას.

როგორც ცნობილი სპეციალისტი-მეთოდისტი, ბორის თარბა არჩეული იყო სსრკ განათლების სამინისტროს ნაციონალურ სკოლებში რუსული ენის შესწავლის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრად. იგი მუდმივად ეწეოდა პედაგოგიური სწავლების პროპაგანდას აფხაზ მოსახლეობაში.

იგი ასევე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო საქართველოს საზოგადოება **„ცოდნის“** აფხაზეთის ორგანიზაციის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, უცხოეთში მყოფ თანამემამულეებთან კულტურული კავშირების განმტკიცების ორგანიზაციის თავმჯდომარე, აფხაზეთის სახ-

ელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიის მეცნიერებათა სექციის ხელმძღვანელი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო აფხაზეთის და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატი.

ბორის გრიგორის ქე თარბას მრავალმხრივი მაღალნაყოფიერი მოღვაწეობა არაერთგზის იქნა დაფასებული აფხაზეთის, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მთავრობების მიერ. იგი დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობის ორდენით, **„ღირსების ნიშნის“** ორდენით, მედლებით, პრეზიდიუმის სიგელებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სიგელებით. იგი იყო საქართველოს განათლების სისტემის წარმატებული მუშაკი, სსრკ უმაღლესი სკოლის გამორჩეული მუშაკი.

ბორის თარბას მთელი პედაგოგიური, სამეცნიერო და ორგანიზატორული საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული აფხაზეთის საშუალო და უმაღლესი სწავლების განვითარებასთან. ამის დასტური გახლავთ ის გზა, რომელიც მან გაიარა სოფლის უბრალო მასწავლებლობიდან აფხაზეთის განათლების მინისტრობამდე, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებლობიდან ამ ინსტიტუტის რექტორობამდე...

სამწუხაროდ, იგი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვის პერიოდში გაგვმორდა – სულ 63 წლისა იყო, როცა მიიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა.

მის ხსოვნას დღესაც მოწიწებით ინახავს აფხაზეთისა და საქართველოს ინტელიგენცია და პედაგოგიური საზოგადოება.

ალი და ნინო თამარ კვინიტაძის კორაელი დილოსტატივისტიკის მოუპარავს

მიხეილ სააკაშვილი და მთელი მისი გარემოცვა რომ უნიჭო მიმბაძველები და უნამუსო პლაგიატორები არიან, ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა!..

სკანდალი, რომლის შესახებაც ახლა მინდა ვიამბოთ, პატივცემულ მკითხველო, შესაძლოა, ატომური ბომბის აფეთქების ეფექტის მქონე აღმონდეს და სააკაშვილს მთელ თავის **„ტრამპა-ცუშმა“** სახელწოდებით პამპართან ერთად თავის მართლებას და ბოდიშის მოხდა მოუწიოს...

საქმე ეხება მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ ფავორიტს – თამარ კვინიტაძეს, რომელმაც სულ ახლახან **„მოდერნიზებული“ „ქეთო და კოტე“** მხატვრულად გააფორმა, რითაც, როგორც მიუკერძოებელი სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, ქართული საოპერო ხელოვნების ეს კლასიკური ნიმუში **„გაბაბანდა“** და გაათახსირა...

თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ ხელოვნებათმცოდნე არ გახლავართ და ამდენად, ყოვლად წარმოუდგენელია, მე კომპეტენტური აზრი მქონდეს გენეაჟო, თამარ კვინიტაძის მიერ გაფორმებული წარმოდგენის, ან კიდევ ბათუმში წამოჭრილი **„ალი და ნინოს“** შესახებ, რომლის ავტორიც, ისევე და ისევე, კვინიტაძეა, მაგრამ ქალბატონი თამარისა და მისი უსტაბაშის – მიხეილ სააკაშვილის უგემოვნება და ქართულ **„ქაჯიზმში“** გადასული დიდეტანტიზმი ყოველ ნაბიჯზე იმდენად საცნაურია, პროფესიონალი სულაც არ სჭირდება იმის მიხედვრას, თუნდაც იგივე **„ალი და ნინო“** სახელგანთქმული კორეელი სკულპტორის – პარკ ჩენ გელის მართლაცდა ორიგინალური და ვირტუოზული შემოქმედების უსინდისო პლაგიატია.

გუშინწინ ჩემმა მეგობარმა საგანგებოდ მიმითითა საკმაოდ გრძელი მისამართის მქონე ინტერნეტგვერდზე, რომელიც, რა თქმა უნდა, გადასთვალაიერე და გაოცებული დავრჩი, – ქალბატონ თამარ კვინიტაძეს, რომელმაც **„ალი და ნინოს“** შექმნაში, დარწმუნებული ვარ, საარაკო ჰონორარი აიღო, თურმე, ყველაფერი კორეული მოქანდაკის ნამუშევრიდან გადმოიუღებინა გადმოუქანაჩავს!..

ამას უკვე ხელოვნება და შემოქმედება კი არა, მიშას **„ნაქანი“** ჰქვია!..

პატივცემულ მკითხველო, ცნობისთვის გეტყვით, რომ კორეელი სკულპტორი, პარკ ჩენ გელი, სკულპტურებს მეტალის ფირ-

ფიტებისგან ჰქმნის... მან დაამთავრა ორი სამხატვრო უნივერსიტეტი და მისი ნამუშევრები წარმატებით გამოიფინება მთელ მსოფლიოში. რაც ყველაზე საინტერესოა, კორეელი მოქანდაკის ნამუშევრები მექანიკურია, რაც კვინიტაძემ, რა თქმა უნდა, ბათუმში გაიმეორა და **„ალი და ნინო“** ერთმანეთს **„შეაცვა“**... ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს კვინიტაძისხეული პლაგიატისთვის **„ალი და ნინოს“** დარქმევა...

ესეც კი პლაგიატი თურქეთში პოპულარული ამავე სახელწოდების რომანის სახელწოდებისა, რომელიც ყურბან საიდმა დაწერა.

თურქეთის საზღვართან დგას **„ალი და ნინოს“** ძველი, სომხეთის საზღვართან სააკაშვილი და კვინიტაძე ალბათ, დადგამენ **„ხაჩიკასა და ნინოს“** ძველს, ხოლო რუსეთის საზღვართან – **„ვალოდიასა და ნინოს“** ქანდაკებას... კიდევ ვინ დარჩა და ვინ გამოგვრჩა ჩვენს სამეზობლოში, რომელიც ქართულ **„ნინოს“** უნდა დააძღვოს და რომელმაც **„ნინო“** უნდა დააურვოს?

საკაშვილმა პოლიციის ჰომინი ედიტ პიავის სიმღერიდან, რომ მოიპარა, ხოლო ერთმა პარტია ქლესა ხალხმა **„მიშარასტების“** ჰომინი **„მიშა მაგარია“**, რომელიც ინდური მუსიკიდან, რომ გადმოაჩქორთულა,

ეს ვიცოდი, მაგრამ მიშას გარშემო სულ ქურდები და პლაგიატორი თუ იყვნენ თამოყრდინი, არ შევარდნი... განა, შემოქმედება და ხელოვნება ჰქვია ნაქურდალისა და ნაპარვის შენად გასაღებას?..


განა, შენი ქვეყნის, შენი თავის პატივისცემა და სიყვარული სხვაგვარად ვერ უნდა გამოხატოთ თუ არა იმით, რომ წარმოდგენაში ხანუმა როლი ნანი ბრეგვაძეს შესრულებინო და საქართველოს სახელმწიფო დროშის ფერებით მორთული კაბა ჩაცვა?! ხომ მაგარია ხუთჯერად დროში გახვეული ხანუმა?!

ერთი სიტყვით, პატივცემულ მკითხველო, **„ალი და ნინო“** ჩვენ რომ კვინიტაძის **„ორიგინალური“** და **„თვითნაბადი შემოქმედების“** ნაყოფი გვევონა, ძვირფას თამარს იღვაც და ქანდაკების შესრულების ტექნიკაც, თურმე, კორეელი დილოსტატივისტიკის მოუპარავს.

საინტერესოა, პარკ ჩენ გელმა თამარ კვინიტაძე, როგორც პლაგიატს, სასამართლოში რომ უწივლოს, რამდენს **„დააყაჭინებს“** და ასეთ შემთხვევაში, დაეხმარება თუ არა თავის ფავორიტს ბაჯადლო ოქროებით სავსე ზანდუკებზე წამოწოლილი მიშა?!

მართლაც საინტერესოა!..

დიტო ჩუბინიძე
„კვირის ქრონიკა“



ირონიული რეკლამა

ქართულ მასმედიაში განჩნდა უადრესად საინტერესო ცნობა იმის თაობაზე, რომ მალე საქართველოში დაიწყებ პრეპარატის – **„რეფორმატორული საჭმელი ჰალსტუხების“** დამზადება, რომლის მირთმევა გურმანებს შეეძლებათ როგორც ბაჟესთან, და ტყემლის ცხარე საწებელთან ერთად, ასევე მშრალადც.


ამ უნიკალური გამოგონების ავტორები არიან **„ჩარეცხილი“** მეცნიერები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელთაც ხელმძღვანელობს უწვევს არასამთავრობო ორგანიზაცია – **„კოალიცია ვეროპული საქართველოსათვის“** პოლიტსაბჭოს წევრი ლევან ჩოლოყაშვილი. ავტორების განმარტებით, ამ მართლაც უნიკალური და ჯერჯერობით ერთადერთი გამოგონების იდეა განჩნდა 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში, როცა მიხეილ სააკაშვილმა შესაშური მონღოლურებითა და მადით მიირთვა საკუთარი ჰალსტუხი. ერთადერთი, რაც ამ გამოგონების ავტორებს აწუხებთ, არის ის, რომ სააკაშვილმა მათ არ მოსთხოვოს ამ გამოგონების საფასურად მიღებული ჰონორარის ნაწილი.

„ჰალსტუხის ჭამა ხელს უწყობს საკუთარი ცხოვრების რეფორმირებასა და კეთილდღეობის ამალმებას, აღძრავს თავისუფლებისა და დემოკრატიის მგლურ მადას, ხელს უწყობს ავტორიტარიზმის, საბჭოური მენტალიტეტის, თავისუფალი და ბედნიერი მეზობლებისადმი შურისა და სიძულვილის და სხვა ამგვარი მიიმე დაავადებების ჩანერგვას და გამძიერებას. სასურველია ამ პრეპარატის მიღება შურით საბოლოოდ გასკდომამდე. პრეპარატი ასევე მანიაკალურ სურვილამდე ამალმებს სექსუალურ პორტენციას, იწყებს სირცხვილის განცდისა და ზნეობრივი პლასტების სრულ ატროფიას. იგი დამზადებულია ნატურალური პროდუქტებისაგან“ – შავით თეთრზე აწერია პრეპარატის ეტიკეტი.

„რეფორმატორული საჭმელი ჰალსტუხების“ გამოშვება უკვე დაიწყო და პირველი პარტია მიეწოდათ სავაჭრო ორგანიზაციებს.

ინქარეთ, რათა მშვიერები არ დარჩეთ!

გაზეთ „ილორის“ სარეკლამო სამსახური.



ბერი XX საუბურის საუბოთის მენაჯარი

თარგანი როლანდ ჯალალნიასი

ის, ვინც იხილავს ლავრენტივეს ფოტოს, ლავრენტი ბერიას ამგვარი შეკითხვა არ გააკვირვებს – მაშინ ოლეგ ალექსანდრეს ძე ლავრენტივეს ლოყები მართლაც იმ ციყვივით ჰქონდა გამობერილი, ზამთრისათვის თხილს რომ იგროვებს ხოლმე ყბებში...

და კიდევ ერთი... გამოკვეთვებულ მემუარებში და ჩემთან გამართულ სატელეფონო საუბრისას ოლეგ ალექსანდრეს ძემ გაიხსენა, რომ ბერია მას მიმართავდა მხოლოდ **“თქვენობით”**. მაგრამ, სხვა მის თანამედროვეთა გადმოცემით (თუნდაც უშიშროების გენერალ სინიციის) ლავრენტი ბერია მოსაუბრეს უზრდელურად ატაკებდა ხოლმე თითო მკერდზე და მხოლოდ **“შენობით”** ელაპარაკებოდა... ამიტომ, ნება მიბოძეთ, რომ სინიციებს და მის მსგავსთ არ დაუჯეროთ! თავის ახლობელი ადამიანებისა და მეგობრების წრეში, ლავრენტი ბერია, რა თქმა უნდა, შეეძლო **“შენ”**ობით ესაუბრა (თუმცა, საზავასთან ცარიელად ნათქვამ **“თქვენს”**, გულითადად ნათქვამ **“შენ”** სჯობდა). მაგრამ ბერიას ლექსიკონში **“შენ”**, როგორც ნორმა, გამორიცხვლია, კატეგორიულად გამორიცხვლია!

და, აი, რატომ ვარ ასე ღრმად დარწმუნებული... 1951 წელს, საბჭოთა კავშირის პარტიის, სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრის, ბოლოს და ბოლოს, მოწოდებით ადამიანის პირისპირ იჯდა ოცდაექვსი წლის სერჟანტი ლავრენტივე! დაიხ – სერჟანტი...

თუ როგორ მოხვდა იგი ბერიას კაბინეტში, მკითხველი მალე შეიტყობს. ახლა კი არსებითაა ის, რომ ლავრენტი პავლეს ძე სამუშაო მაგიდიდან წამოდგა, რათა ახალგაზრდა სტუმრისათვის ხელი ჩამოეჭრათ და საგარდამდე მიეცინებინა! შემდეგ კი მზრუნველად დაინტერესდა მისი გამობერილი ლოყებით... მხოლოდ ეს ერთი წერილმანი აცამტევერებს ბერიას მიმართ აგორებულ ყოველგვარ სიბინძურეს, რომელიც მისი მოკვლის დღიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება!

– შემდეგ რა მოხდა? – შევეკითხე მე მოსაუბრეს.
– შემდეგ მშობლების თაობაზე მკითხა. მაშინ ხომ მამანემი ციხეში იჯდა...
– შემდეგ?
– შემდეგ მან კარგი წერილი მისწერა ვანიკოვს, ზავენიავინსა და კურჩატოვს.
– შემდეგ?
– შემდეგ ყველაფერი კარგად წარიმართა... მოსკოვში ბინა მომცეს... ფული მომცეს... სტალინურ სტიპენდიას ვიღებდი – როგორც წარჩინებულ... კურჩატოვთან სამუშაოს მიმიღეს... პროგრამა მოვაშრავდი...

ყურმილში ხმა აღარ ისმის... პაუზა...
– შემდეგ? – მოუთმენლობა მიპყრობს.
– შემდეგ ბერია გაანადგურეს და მეც საკმაოდ სუსხიანი დღეები დამიდგა... მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი...

კვლავ სინუემ ჩამოწვა, შემდეგ კი მესმის: – ეს ყველაფერი გამოკვეთვებულია...
– სად?
– **“ატომური ენერჯის ბიულეტენში”**, მგონი 2001 წლის საზაფხულო ნომრებში...

ძველი ფიზიკოსი მეხსიერებას არ დაუღალავებია და შემდეგ ყველაფერს ისე მოვუთხრობ მკითხველს, როგორც დავირდი...

1941 წელს მეშვიდე კლასის მოსწავლე ოლეგ ლავრენტივემა წაიკითხა სამი-ოთხი დღის გამოცემული წიგნი **“ბირთვული ფიზიკის შესავალი”**, რომლის ავტორის გვარი შემდეგ ვეღარ გაიხსენა. სწორედ მაშინ შეიპყრო იგი ბირთვული ენერ-

გეტიკის დარგში მუშაობის დაუოკებელმა სურვილმა.

მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ემაწვილი ლავრენტივე მოხალისედ წავიდა ფრონტზე – იბრძოდა ბალტიისპირეთში, ომის დამთავრების შემდეგ კი გადაიყვანეს სახალისის სამხედრო ოლქის 221-ე სახენიტო-საარტილერიო დივიზიონში. სწორედ აქ გახდა იგი სერჟანტი და მალე დაეუფლა რადიოტელეგრაფისტის სპეციალობას. სერჟანტის მწირი ხელფასით იმდენი მოახერხა, რომ **“პასილტორგის”** საშუალებით მოსკოვიდან გამოიწერა ფიზიკასთან დაკავშირებული წიგნები და ჟურნალი **“ფიზიკის მეცნიერების წარმატებები”**. გარდა ამისა, სამხედრო ნაწილს ჰქონდა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა.

დაიწყო დამოუკიდებლად სწავლების მიმე. მაგრამ საინტერესო დღეები, რომლის ერთ-ერთი მთავარი სტიმული გახლდათ სამხედრო ნაწილის მეთაურთა ხელშეწყობა. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია – ლავრენტივე, რომელსაც ფორმალურად საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა, უკვე მაშინ აზროვნებდა როგორც სერიოზული ფიზიკოსი, ხოლო 1948 წელს დამოუკიდებლად მივიდა წყალბადის ბომბის საფუძვლად ლითიუმის დეიტერიდის გამოყენებისა და თერმობირთვული სინთეზის იდეამდე. იკვლევდა რა თერმობირთვული რეაქციის სამრეწველო მიზნებით გამოყენების შესაძლებლობას, მან ჩამოაყალიბა პლანქონის ელექტროსტატიკური ხაფანგის გამოყენების იდეა... ფაქტიურად სერჟანტი ლავრენტივე გახლდათ ფიზიკის პოტენციური გენიოსი, რადგან გენიალურობა არის არა მხოლოდ გონიერების შესაძლებლობები, არამედ შრომისმოყვარეობაც. შრომისადმი სიყვარული კი ლავრენტივეს თვით ცხოვრებამ ასწავლა.

1948 წლის სექტემბერში ოლეგი დამის სკოლაში შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სამხედრო მოსამსახურეებს აკრძალული ჰქონდათ დამის სკოლაში სწავლა. მიუხედავად ამისა, ნაწილის მეთაურის მოადგილემ პოლიტდარგში ა. შერბაკოვმა დაარწმუნა დივიზიონის მეთაური, რომ ლავრენტივეს შემთხვევა განსაკუთრებული იყო და გამონაკლისი უნდა დაეშვათ. 1949 წლის მარტში, ერთ წელიწადში გაიარა რა სწავლების სამწლიანი კურსი, ლავრენტივემა საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი მიიღო.

მაშინდელი გაზეთები საესე იყო ინფორმაციებით იმის თაობაზე, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ტრუმენმა მეცნიერებს დაუშვა წყალბადის ბომბის შექმნის ამოცანა. სერჟანტმა ლავრენტივემა კი კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა შექმნილიყო იგი. და, მან მოკლე ბარათი მისწერა სტალინს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი სკკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც. მალე იუვენო-სახალისიკიდან ჩამოვიდა საინჟინრო სამსახურის პოდპოლკოვნიკი იურგანოვი, რათა პირადად გაეცნო ოლეგ ლავრენტივეს და დაეგინა – საერთოდ ჰქონდა თუ არა მას ნორმალური ადამიანის ფსიქიკა.

რამდენიმე დღის შემდეგ დივიზიონის მეთაურობამ მიიღო განკარგულება, რათა ლავრენტივესათვის შეექმნათ მუშაობის ნორმალური პირობები და დივიზიონის შტაბის მეკვრედ დაეცულ თაბაში იგი შეუდგა პირველი ნაშრომის შექმნას თერმობირთვულ სინთეზზე.

1950 წლის ივლისში! პროფესორ სკოპლიცინის პროტექციები, ამასობაში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დრინდნენ **“მეცნიერების გრანტი”** და, არც თუ იშვიათად, რესტორნებში აუოლებდნენ დესერტს.

მაგრამ მოსკოვი ლავრენტივესაც ელოდა... უკვე გაიგზავნა საბუთები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღებ კომისიაში, და 21 ივნისს, პროფესორთა ყოველგვარი რეკომენდაციის გარეშე, კთილდისინდიერმა საბჭოთა ადამიანებმა მოახერხეს ნიჭიერი ემაწვილის დემობილიზება საბჭოთა არმიის რიგებიდან. თავისი მუშაობა თერმობირთვულ საკითხზე მან 1950 წლის 22 ივლისს დაასრულა და იგი საიდუმლო ფოსტით გაიგზავნა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსთან ი. სერბინთან. თავად ოლეგ ლავრენტივე

კი მალე იუვენო-სახალისსკში გაემგზავრა. იქ კი...

იქ კი გაირკვა, რომ ვლადივოსტოკთან ახლოს რკინიგზის ხაზი გაუთავებელმა წვიმებმა დასილა, კორსაკოვში კი გემზე დაჯდომა უახრობაა – სულ ერთია, მატერიკზე მაინც გაიხიხრები სადმე. მაშინდელ რუსეთში – თუ ვერწმუნებით სტანისლავ პესტოვსა და ანტონოვ-ოვსენკოს – ყველგან **“ტოტალიტარიზმი”** მიჰინფარებდა, ადამიანები ერთმანეთს უთვალთვალდნენ, რათა ახლობლებიც კი საპატიმროებში გაემწყვდებინათ, მაშინ **“ადამიანებს ადამიანებად არ თვლიდნენ”** და მათ უბრალო **“ჭანჭიკებად”** მოიხსენიებდნენ. მაგრამ, გასაოცარი ის არის, რომ სწორედ ამ **“ტოტალიტარულ”** სახელმწიფოში ლავრენტივე მიხვდა იმდენს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტში მისულიყო. და იქ...

და იქ, კომიტეტის მდივნებმა მეცნიერებისა და მრეწველობის დარგში, რომელიც უკვე გაცნობილები (!) იყვნენ სერჟანტ (!) ლავრენტივეს ნაშრომებს, დაეხმარნენ ოლეგს, რათა მას ბილეთი ეყიდა თვითმფრინავზე ხაბაროვსკამდე და გააცნეს მას გ. სმიტის წიგნი აშშ-ს მანვეტენის ატომურ პროექტზე. როგორც იტყვიან, წიგნი მან უმაღ **“გადასასწავლა”**, რამაც ახალი ბიძგი მისცა წყალბადის ბომბის შექმნის საქმეში.

ჩავიდა რა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში 8 აგვისტოს, ოლეგი დაგვიანებით ნახულ სტუდენტებს შეუერთდა და მისაღები გამოცდების წარმატებით ნაბარების შემდეგ ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. სექტემბერში მან გაიცნო სერბინი (ცეკას განყოფილების გამგე და, ამავდროულად, სტუდენტი), რომელმაც თხოვა, რომ ყოველი სიახლის თაობაზე ჩაეყენებინა იგი საქმის კურსში. ოლეგმა კიდევ ერთი შრომა დაასრულა და ცენტრალური კომიტეტის სპეცკესპედიციის მეშვეობით გაუგზავნა სერბინს, მაგრამ პასუხი არ ჩანდა...

და უცებ, 1951 წლის 3 იანვარს, სტრომინის ქუჩაზე მდებარე საერთო საცხოვრებელში ოლეგს აცნობეს, რომ მას ვიდაცეები დაეძებნენ და გადასცეს ტელეფონის ნომერი, სადაც მას უნდა დაერეკა. ოლეგმა დარეკა. ყურმილის მეორე ბოლოზე მას ვიდაცე კაცი მახსენვად გაეცნო და მიუხედავად გვიანი დამისა, ოლეგს კრემლში მიხვდა სთხოვა.

სტუდენტ-სერჟანტს!
საშვების ბიუროს სარკმელთან ერთადერთი ადამიანი იდგა, რომელმაც, როცა გაიგო გვარი **“ლავრენტივე”**, მასთან ერთად შევიდა შენობაში, და როცა უბრად მიმავალი ეს ორი კაცი მახსენვთან შევიდა, მან ისინი ერთმანეთს გააცნო: **“ოლეგ ალექსანდრეს ძე ლავრენტივე”** და **“ანდრეი დიმიტრის ძე სახაროვი”**.

მახსენვის სამუშაო მაგიდაზე, ლამაზად გაფორმებული, ლავრენტივეს მეორე ნაშრომი იღო და სპეცკომიტეტის მდივანმა სახაროვს ჰკითხა – იცნობდა თუ არა იგი ამ ნაშრომს? სახაროვმა უარით უპასუხა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ იგი გაცნობილია ლავრენტივეს პირველ ნაშრომს, რომელმაც მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მახსენვმა მას მეორე ნაშრომის წაკითხვაც ურჩია. შეგახსენებთ: ლავრენტივე მაშინ პირველი კურსის სტუდენტი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ლავრენტივეცა და სახაროვიც კვლავ მახსენვთან იყვნენ, რომელმაც განაცხადა, რომ მათ მიიღებს სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ მოცდა მოუწევთ, რადგან იგი აქამდე თათბირს ატარებს. საკმაოდ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერები მეხოლად მდებარე მინისტრთა საბჭოს შენობაში შევიდნენ და საბუთების მრავალგზის შემოწმების შემდეგ სამივენი ლავრენტი ბერიას კაბინეტის მოსაცდელდ დარბაზში შევიდნენ.

ბერიასთან ჯერ სახაროვი გამოიძახეს, ათი წუთის შემდეგ კი ლავრენტივეც მიიწვიეს და შემდეგ გაიმართა საუბარი, რომელიც მე უკვე ხეივთ ადვირე...

ძალიან მალე სტუდენტ ლავრენტივეს **“მადლი”** ნაცნობთა წრე ძალიან გაფართოვდა. და ვინ შედიოდნენ ამ წრეში? ვანიკოვი, გენერალი პავლოვი, კურჩატოვი!

მაგრამ ყველაზე ხშირად ოლეგს საქმეები ჰქონდა ხოლმე სწორედ გენერალ პავლოვთან...

“გადახარშავდა” რა ჩემს მიერ გამოთქმულ იდეებს, – წერს მემუარებში ლავრენტივე, – იგი მიწყობდა შეხვედრებს მეცნიერთან, დიდი ინტერესით ისმენდა ჩვენს საუბრებს, რომელიც ხშირად საკმაოდ ხმა-მალდა და დაძაბულად მიმდინარეობდა. მაშინ ჩემთვის არსებობდა მხოლოდ ერთადერთი ავტორიტეტი – მეცნიერება, და თუ მე რაიმეში ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ბოლომდე მედგრად ვიცავდი საკუთარ შეხვედრებს, არავის არ ვუწვედი ან-გარიშს...”

ერთხელ პავლოვმა თქვა, რომ მას დაურეკა **“უფროსმა”** და დაინტერესდა ლავრენტივეს საქმეებით. რუსეთის დღევანდელი **“უფროსები”** დროს ვერ ნახულთქვენ აკადემიკოსებთან შესახვედრად, ლავრენტი ბერიას კი აინტერესებდა ნიჭიერი სტუდენტი! სხვათა შორის, ოლეგი მაშინ სტუდენტი კი არა, ფრიად პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერი დახლდა!

ნაცნობების წრე იზრდებოდა: ფიზიკოსი ბლოხინცევი (ოლეგი მას დაუსწრებლად, ქვანტური მექანიკის სახელმძღვანელოთი იცნობდა), გოლოვინი (შემდგომში **“ანტიბერიული”** პამფლეტების შემოქმედი), მათემატიკოსი სამარსკი... კურჩატოვმა ლავრენტივეს შესთავაზა, რომ უნივერსიტეტი ოთხ წელიწადში დაემთავრებინა და ოლეგი უცებ გადახტა პირველიდან მესამე კურსზე, და მალე იგი მასწავლად მიიწვიეს №2 ლაბორატორიაში (მომავალი კურჩატოვის სახელობის ატომური ენერჯის ინსტიტუტი).

ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ... მაგრამ მისდა გასაოცრად ლავრენტივეს მალე გაიკვებ, რომ პლანქონის **“დამწველობის”** საკითხებზე სახაროვიცა და ტამიც მუშაობენ, ოლონდ, მაგნიტური ველის მეშვეობით, რაც სახაროვს ოლეგისათვის არ გაუხდელია. ამას თავისი მიხევი ჰქონდა – როგორც ლავრენტივემა მხოლოდ 1968 წელს შეიტყო, მისი პირველი, სახალისში შექმნილი ნამუშევარი რეცენზიისათვის სახაროვსა და ასპირანტ ტამს გადაეგზავნათ, და სწორედ ლავრენტივეს იდგამ, როგორც ჩანს, გამოიწვია **“ჯაჭვური რეაქცია”** სახაროვის აზროვნებაში...

1951 წლის მაისის შუა რიცხვებში ოლეგმა №2 ლაბორატორიის მუდმივი საშვი მიიღო. ამ ორგანიზაციას მაშინ შემოკლებით ეძახდნენ **“მაგნეტ-ს”** – **მეცნიერებათა აკადემიის გამზომი ხელსაწყოების ლაბორატორია**. მუშაობდნენ ბევრს, რადგან ლავრენტი ბერიას ჩამოსვლას მოელოდნენ, რომელსაც სურდა, რომ პირადად დასწრებოდა ექსპერიმენტებს... ოლეგმა გაიცნო ლეკ არციმოვიანი – მსხვილი მეცნიერი, მართული თერმობირთვული სინთეზის ექსპერიმენტული პროგრამის ხელმძღვანელი. აღმოჩნდა, რომ არციმოვიანიც გაცნობილი იყო ოლეგის პირველ ნაშრომს და დიდად აფასებდა მას. შემდეგ კი ოლეგმა გაიცნო ბუდკერი – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნოვოსიბირსკის განყოფილების ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის მომავალი დირექტორი. ბუდკერიც დაწვრილებით გაცნობილი იყო **“სერჟანტისა”** და დამის სკოლის მოსწავლის ნაშრომს და მის ავტორს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა.

ამ დროისათვის ოლეგი უკვე მოსკოვში ცხოვრობდა მაქსიმ გორკის სახელობის სანაპიროზე (იქ იდგა პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებისათვის აგებული რამდენიმე შთამბეჭდავი შენობა). და თითქოს ყველაფერი შესანიშნავად იყო! 1951 წლის ივნისის მიწურულს, ნოვორიახანის ქუჩაზე მდებარე პირველ მთავარ სამმართველოში, ოლეგი მიიწვია ზავენიავინმა, გამოკითხა საქმეებისა და პირადი ცხოვრების შესახებ, მომავლის გეგმები და საგზური შესთავაზა. ხშირად ხვდებოდა პავლოვსა და მახსენვს – ოლეგს სურდა თავისი მოკრძალებული ექსპერიმენტის განხორციელება (მახსენვმა მას მცირე პროგრამა უწოდა, რომლის დასრულებას **“გროშები”** დასჭირდებოდა).

მაგრამ, საქმე, რატომღაც, მაინც მუხრუჭდებოდა...
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



სიყვარულის ნოსტალგია

ნარკო კოლხელი (ნარკო იანაშვილი)

ნარკო კოლხელს გამოცემული აქვს რომანების ციკლი „ღმერთების სედა“, ასევე მოთხრობები და ზღაპრები, თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

1999 წელს აღინიშნა პუშკინის დაბადების 200 წლისთავი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნარკო კოლხელმა 3 დღეში შექმნა რომანი „სიყვარულის ნოსტალგია“.

შეითხველებს ვთავაზობთ ამ რომანის გაგრძელებას.

ქალი ტანთამაშით გავიდა კარებთან: - შემოდით, დევიოკი! - მაგარი დევიოკები არიან, წიწკვები, ვითონ ხელუხლებლები იყვნენ, - ჩაილაპარაკა გამოძიებელმა, - ვაი თქვენს პატრონს.

ქალები შემოვიდნენ და დასხდნენ, მათაც ფეხი-ფეხზე გადაიდეს.

გამომძიებელმა ორივე დაკითხა, ახალი ვერაფერი გაიგო, ბოლოს ისევ ლონდა მოიხმო.

- ვიდაც მამაკაცი დაუნახიათ, თქვენთან მოსულა, - ჰკითხა შემოსვლისთანავე, - ვინ იყო?

- სად, შიგნით? - ეზოში. - ვინ მამაკაცი? - ალბათ მკვლელი. - არ ვიცი, ვერ წარმომიდგენია. - ეს ქალები მაშინ სად იყვნენ?

- სად იქნებოდნენ, თვითონ არ გითხრეს? ასეთ დროს პლაჟზე არიან ხოლმე, როცა წვილი-კვილი მოვრთე, მაშინ გამოჩნდნენ... მთელი უბანი იქ იყო და... არაფერი ვიცი, წამში მოხდა ყველაფერი, გაოგნებული ვარ... ბიჭიც იმ დროს გარეთ თამაშობდა, ქუჩაში.

- თქვენი აზრით მკვლელი ტყიდან მოვიდა, შეუვარდა შენს მდგმურს, ეზოში გამათრია და ყელი გამოსჭრა? გასაკვირია, ხომ შეეძლო ჩუმიდ ჩაედინა დანაშაული, სადმე გაეტყუებინა, თუნდაც თქვენს უკან, ტყეში... მითუმეტეს იცოდა, რომ სახლში იყავი.

ლონდამ თავი დახარა. - არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. - ის ბიჭი და გოგო ვინ არიან? - ახალი მდგმურებია. - რამდენი ხანია შენთან ცხოვრობენ? - დღეს გადმოვიდნენ, ახალი დაქორწინებულები არიან, თავფლობის თვე აქვთ. - წარმომიდგენია, ამ ამბის მერე როგორ ხასიათზე იქნებიან, როგორ მხიარულად გაატარებენ თავფლობის თვეს, - უჯრიდან სურათები ამოიღო და მაგიდაზე დაეყარა, - კარგად დააკვირდი.

ლონდამ სურათებს სათითაოდ დახედა. - რომელიმე ხომ არ გეცნობა? - მგონი ერთს ვიცნობ. - რომელს?

ლონდამ ერთ-ერთ სურათს თითი დაადლო.

გამომძიებელმა ჩაიხიხინა: - ვიცოდი, რომ იცნობდი ამ რეციდივისტს, დიდი ხანია დავდექი, სხვათა შორის შენი მდგმურის ახლობელი გამოდგა.

- ვისი? - ვისი და ნურმამედოვის.

ლონდამ თავი ასწია და გააკვირვებული მიაშტერდა.

- რას მიუხრუბ, ტყუილს ვამბობ? - მე არ ვიცოდი, საიდან უნდა მცოდნოდა, იმ პატიოსან კაცს რა საერთო უნდა ჰქონოდა ამასთან.

- არ ვიცოდი? აბა რა იცოდი? უკვე გაყიდე შენი თავი, რადგან თქვი, რომ იცნობ ამ რეციდივისტს, უცებ რომ დაადე თითი.

- ოცი წელი რესტორანში ვმუშაობდი ოფიციალურად და იქიდან ვიცნობ, - თვალებიდან ცრემლები წასკდა, - უბედური ქალი ვარ, ისეთი რა დავაშავე, რომ ასე დავისაჯე... ქმარი ციხეში მომიკლეს, შვილიც მეშვიდე წელია სხვების მაგივრად სასჯელს იხდის...

- კარგი, კარგი, თავს ნუ იკატუნებ, წადი ახლა და როცა გამოგიძახებთ, წამში აქ გაჩნდი, თორემ სადაც საჭიროა იქ მიგაბრძანებთ.

კაბინეტში მილიციელი შემოვიდა:

- ამათ რა ვუქნათ? - თვალთ მამუკა და ტანიაზე ანიშნა.

- შემოვიდნენ.

შევიდნენ.

- მკვლელობის შესახებ ალბათ

არაფერი იცით, თვითმხილველი არ ხართ, არც არაფერი დაგინახავთ, - ჰკითხა სხვათა შორის გამოძიებელმა.

- რამდენიმე საათის წინ გადმოვედი...

- უპასუხა მამუკამ.

- ვიცი, ლონდამ მითხრა... რატომ დევიოკი?

- აბა როგორ იქნება, უფროსო, ასეთი ამბის შემეფურე.

- იმ დროს სად იყავით?

- პლიაჟზე გავდიოდით, ლონდას კვილი მოგვესმა თუ არა, უცებ გამოვიქცეთ.

- თქვენც ბედი გქონიათ, მტრისას, რაღა მაინც და მაინც იმ დროს.

- რას იხამ, ბატონო გამოძიებელი.

- ერთი ვე მითხარით, როცა ოთახიდან გამოხვედით და პლიაჟისკენ წახვედით, ეზოში ვინმე საეჭვო პიროვნება ხომ არ დაგინახავთ?

- არა, - მიუგეს ერთხმად.

- კარგად დაფიქრდით, იქნებ გაიხსენოთ?.. არაფერი არ დაგინახავთ?

- არა.

- არც მანამდე?

- იცით... მანამდე... - ტანიამ დააპირა თქმა.

გამომძიებელმა წამში დაიჭირა მისი მხურა.

- გისმენთ...

ტანიამ მამუკას შეხედა.

- რაღაცას მიმალავთ, თქვით.

- გადმოვედი თუ არა, ჯერ არც ვიყავით მოწყობილი, რომ ვიდაც მილიციელი შემოვიდა.

- მილიციელი? - გამოძიებელს თვალები გაუფართოვდა, - მერე?

- მილიციელი ლონდას ეჩხუბებოდა.

- დიდხანს ეჩხუბებოდა?

- დაახლოებით ათ-თხუთმეტ წუთს, ჩვენ მათ ვერ ვხედავდით, ოთახიდან გვესმოდა.

- თქვენს გარდა ვინმე ისმენდა მათ საუბარს?

- არ ვიცი.

გამომძიებელი მამუკას მიუბრუნდა:

- იქნებ შენ მითხრა, რატომ ეჩხუბებოდა? ხომ არ აგინებდა?

- მგონი აგინებდა... მეგრული კარგად არ მესმის.

- სადაური ხარ?

- სამტრედიელი.

- ეს შენი ნაშაა?

- რას ამბობთ, მეუღლეა.

- საბუთები მანვენეთ.

ტანიამ პასპორტი მიაწოდა, მამუკამ - საიმედო ბილეთი.

- სად წერია აქ, რომ ცოლ-ქმარი ხართ?

- ახლახან დაგებრუნდი ჯარიდან, ჯერ პასპორტი არ ამიღია.

- ჰოო, ირკუტსკაია ობლასტ, გასაგებია, ეს გოგო იქიდან წამოიყვანე?

- არა.

- მერე ასე უცბად როგორ გადაწყვიტე ერთი ნახვით შეგიყვარდა? პრინციპში ჩემი რა საქმეა, მაგრამ რატომდაც არ მჯერა.

- ჩვენ მოწმეები გვეყავს, რამდენიც გინდათ.

- არ მისხენო, თუ ძმა ხარ ეს სიტყვა, ეს მოწმეები, ქურდები, საეკულანტები, ნარკო-დანები, ბოხები, პედერასტები... ძალიან დავიდალე, - საბუთები დაუბრუნა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

ერთხანს დუმილის შემდეგ მამუკამ ჰკითხა:

- შეიძლება წავიდეთ?

- ცოტა ხანი მოიცადეთ, - ჩაფიქრდა, - ესე იგი მილიციელი იყო, შეგიძლიათ სახეზე იცნოთ?

- შეგვიძლია, - უპასუხეს ერთხმად, - მაგრამ...

- რაა, მაგრამ?

- ლონდა ხომ იცნობს? - უთხრა მამუკამ.

გამომძიებელი დაჯდა. სიგარეტს მოუკიდა.

- ლონდა კი იცნობს, ლონდა ვის არ იცნობს... ამათ თუ იცნობს? - სურათებზე ანიშნა, - კარგად დააკვირდით.

- არა, წარმოდგენა არა გვაქვს.

- აი ამან მოკლა ნურმამედოვი... ჰო, კარგი, ახლა ცოტა ხნით გამომეყვით, მერე თავისუფალი იქნებით.

მილიციის შენობიდან გავიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ.

გამომძიებელმა მანქანა ტურბაზის წინ გააჩერა:

- ახლავე მოვალ, - მოიბოდიშა და მანქანიდან გადავიდა.

მამუკა და ტანია ერთმანეთს მიეკვრნენ.

- რა ვქნათ, მამუკა, ესენი გავგაწვალებენ, ყოველდღე მილიციაში დაგვიბარებენ, სანამ მკვლელს არ იპოვნის.

- არა მგონია, გავგიშვებენ, ლონდასთან დაგვალაპარაკებენ და თავისუფალი ვიქნებით.

- ლონდასთან არ დაგებრუნდეთ, სხვაგან გადავიდეთ, საერთოდ სხვა ქალაქში წავიდეთ.

- ჰო, ჩემო კარგო.

გამომძიებელი მილიციელთან ერთად დაბრუნდა. მანქანაში ჩასხდნენ.

- კარგად დააკვირდით ამ პიროვნებას, - გამოძიებელმა უკან მოიხედა, - უფროსი ლეინტენანტი გვასალაია, ბესარიონ ვარლამოვიჩი, შემთხვევით ხომ არ გეცნობათ?

მამუკამ და ტანიამ ერთმანეთს შეხედეს.

- კარგად დააკვირდით, დაფიქრდით, ნუ დევიოკი.

მილიციელმა თავი მოაბრუნა:

- არსად გინახავართ?

გამომძიებელმა მანქანა დაქოქა.

- იცით, უკაცრავად, შეიძლება ვცდე-ბოდეო, - თქვა ტანიამ.

- მეც მასე მგონია, - უთხრა მამუკამ გამოძიებელს.

- რა გგონიათ? სიძარტლე უნდა თქვათ, თქვენ ხელი უნდა შეუწყოთ გამოძიებას, ცრუ ჩვენებისათვის პრობლემები შეგექმნებათ, როგორც თქვენ, ასევე ჩვენც. შეიძლება აირ-დაირიოს ყველაფერი... ეს ის კაცია, რამდენიმე საათის წინ ლონდასთან რომ იყო.

ხმა ვერ გასცეს.

მილიციელმა ისევ მოაბრუნა თავი.

- გესმოდათ ჩემი და ლონდას საუბარი?

- კი, მაგრამ რაზე საუბრობდით, ვერ გავიგეთ, - უპასუხა მამუკამ, - თქვენ რომ წახვედით, ლონდა ტიროდა.

- ტიროდა?

- ხმამაღლა არა, მაგრამ...

- მაინც ტიროდა, ხომ? - ჩაეცინა გამოძიებელს, - მერე, როცა ტიროდა, არაფერი ამბობდა?

ტანიამ და მამუკამ ისევ შეხედეს ერთმანეთს.

- ვიდაც ქალს ლანძღავდა, მერე მდგმურს ესაუბრა.

- ალბათ მოკლულს.

- მგონი.

- მერე?

- მეტი არაფერი ვიცი, ცოტა დავისვენეთ და პლაჟზე გავედით, პლაჟაზე არც ვიყავით მისული, როცა ლონდას წვილი-კვილი მოგვესმა, უმალ გამოვიქცეთ.

- გასაგებია, ახლა რას აპირებთ, ისევ ლონდასთან დარჩებით?

- არავითარ შემთხვევაში, სხვაგან გადავალთ, სხვა ქალაქში.

- რატომ? არ მოგწონთ ჩვენი ქალაქი?

- ძალიან მოგვწონს, მაგრამ ამ ამბის შემდეგ აქ დარჩენა არ გვინდა.

- თქვენდა სამწუხაროდ ვერ გავიშვებთ, ვინაიდან ძალიან გვეჭირდებით, ერთი-ორჯერ მოგიწევთ მოსვლა, რამდენიმე წუთით, ვე არის და ევ. სხვა ქალაქში რომ წახვიდეთ, მერე სად გექნებოთ? - უთხრა გამოძიებელმა, - გიმორებთ, თქვენ ხელი უნდა შეუწყოთ გამოძიებას.

ორივემ ამოიხარა.

- რა გეწყობა, დავრჩებით.

- ახლავე გადაგიყვანთ, ბარგის გადატანაში მოგეხმარებით.

- ბევრი არაფერი გვაქვს, - უთხრა ტანიამ, - ორად-ორი ჩემოდანი და ჩანთა, ნუ წახვიდებით.

- არაფერია, ეს ჩვენი მოვალეობაა, არც ჩვენ გვინდოდა და მითუმეტეს თქვენ, რომ ეს უბედურება დატრიალდა, მაგრამ რას იხამ.

ბარგი გადმოიტანეს.

რამდენიმე წუთში მანქანა ერთსართულიანი პატარა სახლის წინ გაჩერდა.

ტოსია დეიდა, მიიღე სტუმრები რამდენიმე დღით.

- მობრძანდით, მობრძანდით.

ტოსია მარტო ცხოვრობდა ოროთახიან სახლში. ერთ ოთახში ქალ-ვაჟი დაბინავდა და სადაც წავიდა, გვიან დაბრუნდა. ტანიას არც იქაურობა მოეწონა.

შუალამისას სახლს მანქანა მოადგა. მანქანამ დააპიპინა თუ არა, ტანიას და მამუკას გაეღვიძათ.

- ნეტავ რა ხდება ამ შუალამისას? მილიციელები ხომ არ არიან? - იკითხა შემინებულმა ტანიამ.

- დედა! დედა! - ქალის ხმა იყო.

- ბაბუსია! - ევ უკვე ბიჭის ხმა.

- მგონი ტოსია დედასთან არიან.

ტოსია სტუმრებს შეეგება:

- მეგონა არ ჩამოხვიდოდით და ოთახი გავაქირავე.

- არაფერია, როგორმე მოვთავსდებით, მარტო ბორია წამოვიყვანე, ოღონდ, აი რა-შია საქმე, ბუსიამ უნდა იმშობიაროს, ექიმი გვეყავდა.

- ბუსიას სიმშვიდე უნდა.

მამუკა გარეთ გავიდა.

- ტოსია დეიდა, ჩემი დახმარება ხომ არ გინდათ?

- არა, შვილო, გამადლობო.

- არ მოგერიდოთ... ჩვენ ხვალ დილითვე გადავალთ... უხერხულია...

- არაფერია უხერხული, - ტოსია ოთახში შემოვიდა, - ერთი თხოვნა მაქვს, არ იხმაუროთ, შეიძლება ჩვენმა ბუსიამ იმშობიაროს. ის ჩემი გოგო იყო, ის ბიჭი კი შეიღობა, ალბათ სასწრაფოს გამოიძახებენ.

- არაფერია უხერხული, - ტოსია ოთახში შემოვიდა, - ერთი თხოვნა მაქვს, არ იხმაუროთ, შეიძლება ჩვენმა ბუსიამ იმშობიაროს. ის ჩემი გოგო იყო, ის ბიჭი კი შეიღობა, ალბათ სასწრაფოს გამოიძახებენ.

- დილაზე როგორმე გავძლოთ და მერე წავიდეთ აქედან.

- ჰოო.

თვალები მინაბეს თუ არა, ოთახიდან ხმა მოესმათ.

მიაყურეს.

- მგონი ტირიან, - მამუკა ლოგინზე ჩამოჯდა.

- ტოსია დედას ხმაა.

- მისი შვილიც ტირის.

- ჩვენო პატარა ბუსია, ჩვენო საყვარელო, რა გვეშველება უშენოდ, - ქვითინებდნენ დედა-შვილი.

ტანია და მამუკა ერთმანეთს გაოგნებული მისჩერებოდნენ.

- რა ცუდი ფეხი გვექონია, ერთ დღეში ერთბაშად ორი უბედურება, - მამუკამ ჩაცმა დაიწყო.

- სად მიდიხარ? - ჰკითხა ტანიამ.

- რა ვქნათ?

- საცაა გათენდება.

- დილით მივუსამიძმროთ.

ცოტა ხანში ტირილი შეწყდა.

- ჩვენთან კი, როცა ადამიანი მოკვდება, მითუმეტეს ახალგაზრდა, წვილი-კვილით იკლებს იქაურობას, - ჩაილაპარაკა მამუკამ.

- მე მომწონს თქვენი წესი, თქვენ ძალიან გიყვართ ნათესავები, წინაპრებს დიდ პატივს სცემთ, ჩვენთან ხშირად ხდება, როცა დედამისი შვილები წლობით ვერ ნახულავენ ერთმანეთს.

ერთხანს სინყმე.

- ალბათ დაიძინეს, - უთხრა ტანიამ.

- არა მგონია, რა დააძინებო... რაღაც ხმა მესმის... დაკრძალვის თაობაზე საუბრობენ, აგარაკზე დავასაფლავებთო.

ეს წუთია გარდაიცვალა და უკვე ასაფლავებენ? ეგენი მგონი ქრისტიანები არ არიან.

ირიყარა თუ არა, გარეთ გავიდნენ, მასპინძლების შეწუხებას მოერიდნენ და იქვე პატარა სკამზე ჩამოჯდნენ.

ცოტა ხანში ოთახიდან თორმეტი დღე წლის ბიჭუნა გამოვიდა სათევზაო მოწყობილობებით ხელში.

მამუკამ ჩუმიდ მოიხმო, ხელი გადახვია და უთხრა:

- ძალიან მეწყინა თქვენი ამბავი, თქვენი დედის, ტოსია დეიდის, ევა... ავად იყო?

- არა, ავად არ იყო.

- აბა რა დავმართა?

- უნდა ემშობიარა.

- საცოდაოდ, მუცელს გადაეყვა... შვილი? შვილი გადარჩა?

- ვინ შვილი?

- პატარა, ბავშვი...

ბიჭუნამ ვერაფერი გაიგო.

- მე არ ვიცი, რომელი ბავშვი?

- შენი და არ იყო ორსულად?

- ჩემი და? მე და არ მყავს?

- აბა ბუსია ვინ იყო?

- ბუსია?

- ჰო, ბუსია.

- ძალიან იყო.

(გაგრძელება იქნება)

მსოფლოდ ყველას გაერთიანება

იბეჭდება განმეორებით



გაზეთის მკითხველებს მინდა შევახსენო, რომ 2010 წლის 2 აგვისტოს შეიქმნა „აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი“, იგივე „ნდობის აღდგენისა და შერიგების ფონდი“, რომლის დამაარსებლებიც არიან: ოლეგ ჯოლია (თავმჯდომარე), იასონ ფაველენიშვილი, ჯუმბერ ხუბუტია და მერაბ მადლაკელიძე.

დასახელებულ ფონდთან ჩამოყალიბდა „ქართველ უზუცესთა საბჭო“, სადაც გაერთიანებული არიან ცნობილი ადამიანები, ერის სასახლო შვილები: მეცნიერები, მწერლები, აკადემიკოსები, ექიმები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, რომლებთანაც სალაპარაკოდ უუკველად დასხდებიან აფხაზ უზუცესთა საბჭოს წევრები, ეს ის ხალხია, რომელნიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ, როგორც აფხაზეთში, ასევე ჩვენში.

დიდი ხანია, რაც საქართველოს პრეზიდენტთან და მთავრობაში

12 წინადადება (პროექტი) წარვაღებინეთ, მაგრამ პასუხი არ მივიღია. ჩვენთვის გაუგებარია ამ მიმართულების ბუდი, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავთ, და ვფიქრობთ, ჩვენს წინადადებებს მწვანე შუქი აენთება!

ჩვენი პროექტის ერთ-ერთი წინადადებაა – სოფელ რუხში, ენგურის პირა მოედანზე, სადაც ომის დაწყებამდე ქართველთა და აფხაზთა ძმობის მონუმენტი უნდა აღმართულიყო, მოეწყოს ლილოს ტიპის ბაზრობა, რაც ორ მოძვე ხალხს დაახლოებს. ეს საქმე დიდ ბიძგს მისცემს ჩვენს ხალხებს შორის ნდობის აღდგენას, მოლაპარაკებების დაწყებას და მომავალში ურთიერთობის დარეგულირებას.

უნდა ვადიაროთ, რომ, მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების სიმრავლისა, რომლებიც აფხაზეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენაზე მუშაობენ, ჯერჯერობით ხელშეახლები მიღწევები არ შეინიშნება. სურვილი დიდია, მაგრამ საქმე წინ მაინც ვერ იძვრის. ვმუშაობთ ცალცალკე, დაქსაქსულვად, რამეთუ არ არსებობს ერთიანი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც კონსულტაციებს გაუწევდა არასამთავრობო ორგანიზაციებს და უფრო ორგანიზებულად შეუდგებოდა საქმის კეთებას.

იენისის თვეში ბიზნეს-აკადემიაში შედგა კონფერენცია, რათა ჩამოყალიბებულიყო აფხაზეთთან ნდობის აღდგენის ფონდი. კონფერენციას ვესწრებოდი ქართულ უზუცესთა საბჭოს წევრები. ჩემი გამოსვლისას ხსენებული აკადემიის ხელმძღვანელობას თხოვნით მივმართე, რომ აკადემიის ბაზაზე შექმნილიყო საკოორდინაციო საბჭო, რასაც აბსოლუტურად

დაეთანხმა ბატონი ნოდარ ჭითანავა. მაგრამ საბჭო მაინც ვერ შეიქმნა, რადგან კონფერენციის წამყვანმა ბატონმა ალექსანდრე კუჭუხიძემ საერთოდ ყურადღების მიღმა დატოვა ეს საკითხი. ვფიქრობ, რომ საქმისადმი ასეთი ზერევე მიდგომით შორს ვერ წავალთ!

საკოორდინაციო საბჭოს შექმნის საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერილიც გამოვექვეყნე, რის შემდეგ მიპატიუბული ვიყავი ბატონ ზურაბ ლაკობაიას ოფისში, სადაც უნდა მოგვესმინა არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარის ბატონ ალიოშა მიქაძის მოხსენება აფხაზეთის საკითხზე, თუმცა, თათბირი ისე დამთავრდა, რომ მოხსენებას ვერ ვეღვირეთ. ბატონი ზურაბი აფხაზეთთან ურთიერთობის საკითხზე დიდი ხანია მუშაობს. იდეა მასაც მოეწონა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს საკითხი ყველა შემთხვევაში მთავრობის დონეზე უნდა გადაწყდეს...

ბატონი ალიოშა მიქაძე ჩემი მეგობარია, ვიცნობ როგორც კარგ ქართველს, საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც დიდი ჯაფა აქვს გაწეული აფხაზეთსა და ქართველებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების განმარტებისათვის. მისთვის მინამდვილად მიუტკვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მის არასამთავრობოში ირიცხებიან ის პიროვნებები, რომლებთანაც, მიუხედავად მათი დიდი დამსახურებებისა, აფხაზეთი მოსალაპარაკებლად არ დასხდებიან. უდავოა, რომ კონფლიქტის დროსა და მის შემდეგ ქართული ინტელიგენციის ნაწილმა უამრავი შეცდომა დაუშვა, ბოლომდე არ გამოიყენეს არსებული შესაძლე-

ბლობები, რათა მოეებნათ აფხაზეთთან შეხების წერტილები, წინაპირობა შეექმნათ ეფექტური სამშვიდობო მოლაპარაკებების განხორციელება.

მე არავითგზის მიუტკვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ აფხაზეთში განაღებულ ძმობამკველ თმზე სრული პასუხისმგებლობა შევარდნაძეს ეკისრება, რომელმაც ტანკები შეაგზავნა აფხაზეთში, მაგრამ ვინ იყენებ ისინი, თბილისში რომ ჩამოვიდნენ და კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთში ქართული ჯარის შეყვანას?

ესენი წარმოადგენდნენ აფხაზეთის ქართველობის ერთ-ერთ ჯგუფს. ჩვენ მუდმივად სხვებს ვადანაშაულებთ აფხაზეთის კონფლიქტში, თუმცა თავადაც დიდი შეცდომად დაგუშვით. ისიც განვიცხადებ, რომ აფხაზეთის პარლამენტის ქართული დეპუტაცია დარბაზს ტოვებდა და არენას აფხაზეთს უთმობდნენ, რომლებიც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე იღებდნენ ჩვენთვის საზიანო გადაწყვეტილებებს. ბევრი ქართველის ინიციატივით აფხაზეთში გაიხდინა თეატრი, ინსტიტუტი, მწერალთა კავშირი და სხვა. მე არ გამართლებ აფხაზეთს, მაგრამ განა ქართველებს არ შეგვეძლო ყოველივე ამის თავიდან აცილება? ვისაც ეჭვი ეპარება ამ სიტუაციის ჭეშმარიტებაში, ვურჩევ ცნობილი ნეიროქირურგის, პროფესორის, უზუცესთა საბჭოს წევრის ბატონ ნაო მესხიას წიგნი „როგორ გასწავის აფხაზეთი“. სიმართლე ზოგჯერ შეიძლება საკმაოდ არასახიამოვნო იყოს, მაგრამ ყოველთვის უნდა შეგვეძლოს მისთვის თვალის გასწორება.

სასურველია, რომ ამ საბჭოს

უხელმძღვანელონ ან ზურაბ ლაკობაიამ, ან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ხუბუამ, რომლებიც უდავოდ დიდ სარგებლობას მოუტანენ საერთო საქმეს.

კოლეგ ერთხელ ვიმეორებ – ამ მნიშვნელოვან საქმეში წარმატების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ხელისუფლება მოიცდის და მოუხმენს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებს ქართველებსა და აფხაზეთს შორის ნდობის აღდგენის საკითხებზე მუშაობენ.

მხოლოდ იმის იმეად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ან სხვა რომელიმე ქვეყანა დაგვეხმარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, ალბათ შორს ვერ წავალთ. დავესხვებო ბატონ დიტერ ბოდენს და ვიტყვი, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ მხოლოდ ზეგავლენა იქონიონ კონფლიქტების მოგვარებაში, მაგრამ მთავარი საქმე უნდა გააკეთოს საქართველომ. და ეს, რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს!

ბევრჯერ მიუტკვამს და ვიმეორებ, აფხაზეთი ჩვენი სისხლი და ხორცია, საუკუნეები ერთად გვიცხოვრია, ერთმანეთის ჭიირ და ღხინი გავვიზიარებია, ასე იყო და ასე იქნება მარადეამს!

მამანტი ჯოლია
ქართველ უზუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე

ალექსანდრა ლაზი

პე, მამულო ბაიღვიძე!

გაზაფხულზე აფთქდება ჩვენთან ყველა ყვაფილი, ჩიტის ჭიკჭიკს მოჰყოლია სუნთქვა ყველანაირი.

მთაში თოვლი დნება ჩუმად, ნაკადულად ჩამოდის, მზე ცისკარზე აღმასებით სულ სხვა ფერით ამოდის.

პე, მამულო, გაიღვიძე! ბრძოლაშია სიცოცხლე, თუ მომავალს არ აღგები მე რად მინდა სიცოცხლე.

ეს გოლგოთა შენთან ერთად ფენშიშველი ვიარე, ერთად დგომა თუ მომირჩენს წყლულმორყულ იარებს.

იქნებ თავიც შეგვახსენოს ბოროტების გმირებმა კვლავ იბრძოლონ მამულისთვის საქართველოს შეილებმა.

უნდათ მოჰკლან საძარბოველო... ვხედავ წყლულებს ემატება წყლული, ერისკაცებს ჩაფიქრება გამართობთ, ანტიქრისტეს მოსრიბლებს სული, ჩაგვიღვწავს

სასუფეველის კარებს.

სიბება-გარყენის და მრუშობის მცნებებს ასწავლიან უმანკოთა გულებს და აცლიან ღვთისმშობლის კერას უნებარეს ღვთივ ბოძებულ სულებს.

ჩანაფიქრი თუ გაუვა მტარვალს, ჩვენ მოგვეკეთავს ჯოჯოხეთის ცელი, გაუდგება სოდომსა და გომორს წამებული ღვთისმშობლის ერი.

მოძღვარი ხარ, ბერი ხარ თუ ვერი, გავიდვიძოთ, ავახილოთ თვალი, ხედავ, როგორ მოდის ნიაღვარი, წინ აღუდგეთ და შემოგვკრათ ზარი!

ბნელეთიდან დიდი ფული მოდის, რომ მზაკერულად ჩაითროს ერი, აბა, კარგად ჩაუფიქრდით ხალხნო, ვის რას არგებს უწმინდური გველი.

შხამს გვიმზადებს ანტიქრისტე წყნარად, უნდათ მოჰკლან საქართველო მარად, არას გვარგებს დადუმება, არად, ქრისტეს რჯული ჩაფიხურთ ფარად.

შემოჰკარით, შემოჰკარით ზარებს, ეკლესიის კარიბჭესთან მდგარებს, დედის კალთას შევაფართოთ თავი, წუთისოფელს დარჩენია წამი.

შენ მებუჟე, დაუკარი, კვლავ მოუხმე არაგველებს, გორგასალის ხმალს მოუხმე, ხმალს მტრის სისხლით განახლებს, თამარ მეფეს, დავითის მზეს, არსაკიბის მარჯვე ხელებს. სვანებო და გურულუბო, ლაზებო და აჭარლებო, იმერლებო, ქართლელუბო, კახელებო, მთიულუბო... ერთად დადგეთ, ერთი სულით, ერის წყლულით სნეულებო... მშვიერ ქართველს, მწყურვალ ქართველს, მაინც ქართველს ვენაცვალე.

რედაქციაში წერილი მოვიდა

კპირვასო რედაქცია!

მოგმართავთ თხოვნით, რადგან ვიცით თქვენი გაზეთის ობიექტურობა: თქვენ ყოველთვის წერთ სიმართლეს და ერთგულად ემსახურებით ქართველ ხალხს.

გუთხოვთ დაგვეხმაროთ, რათა ქალაქ ზუგდიდის საპატრულო პოლიციაში გავრკვიოთ ჩვენს საკითხთან დაკავშირებული პრობლემა, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: როგორც ცნობილია, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდება 18 წელი, უფლება აქვს ჩააბაროს გამოცდები საპატრულო პოლიციაში, ადგილმდებარეობის მიხედვით და მიიღოს „A“, „B“, „BC“ ან „C“ კატეგორიის კატეგორიის მძღოლის მოწმობა. „A“ და „B“ კატეგორიის მოწმობის მისაღებად საჭირო არ არის, რომ მძღოლობის მსურველმა გაიაროს შესაბამისი კურსები ავტოსკოლებში. თავად მოემზადება დამოუკიდებლად და ჩააბარებს საკვალიფიკაციო გამოცდებს. ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერებმა, დამოუკიდებლად ვისწავლეოთ და ავიღეთ „B“ კატეგორიის მართვის მოწმობა, ხოლო „C“ კატეგორიის მოწმობის სახაღებად ჩავირიცხეთ ზუგდიდის ავტოსკოლაში. როდესაც მივედით „C“ კატეგორიის მართვის უფლებაზე გამოცდების ჩასაბარებლად ზუგდიდის საპატრულო პოლიციაში, გვითხრეს, რომ უნდა გქონდეთ „BC“ კატეგორიის მოწმობა, რადგან 1 ივლისიდან, ამის თაობაზე, მივიღეთ ახალი ბრძანება. ჩვენ „C“ კატეგორიის კურსები გავიარეთ 2011 წლის 1 ივლისამდე, ახლა კი, საპატრულო პოლიციაში გვეუბნებიან, რომ თავიდან უნდა გაიაროთ „C“ კატეგორიის მართვის მოწმობის სახაღებად საჭირო კურსები.

გუთხოვთ თქვენს გაზეთში გამოაქვეყნოთ შესაბამისი ინსტანციის კომენტარი, რადგან ვფიქრობ, რომ ჩვენს მდგომარეობაში ალბათ სხვა მრავალი საქართველოს მოქალაქეც იქნება.

პატივისცემით
გ. გალდავა, ო. კოსია, მ. ქირის, ა. დგებუაძე, ი. ჯუღელი, მ. ოტობაია

პატივისცემული ბანძვალბელო!

ჩვენ, ზუგდიდელი მეგობრების განცხადების მიღებისთანავე გადავამოწმეთ აღნიშნულ წერილში გამოთქმული პრეტენზიის მართლზომიერება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, სადაც კომპეტენტურმა სპეციალისტებმა დაწვრილებით განგვიმარტეს, რომ თუ „C“ კატეგორიის მართვის მოწმობაზე მომზადება ავტოსკოლაში გაიარეთ „B“ კატეგორიის მართვის უფლების აღების შემდეგ, თქვენ აღარ უნდა გაიაროთ, განმეორებით, სწავლების კურსი ავტოსკოლაში. მაგრამ, თუ ავტოსკოლაში სწავლობდით „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის აღებამდე, მაშინ ვალდებული ხართ ავტოსკოლაში გაიაროთ არა მომზადების, არამედ გადამზადების კურსები. სამწუხაროდ, თქვენს განცხადებაში ეს მომენტი დაწვრილებით არ არის დაფიქსირებული, რაც არ იძლევა საბოლოო დასკვნის გაკეთების საშუალებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასურველია, უშუალოდ, განცხადებით მიმართოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სამმართველოს (თბილისი, წითელი ხიდის გზატკეცილი, 21-ე კილომეტრი). განცხადებაში უნდა მიუთითოთ თქვენს მიერ „B“ კატეგორიის მართვის მოწმობის აღებისა და ავტოსკოლაში სწავლის კონკრეტული თარიღები და აზრთა სხვაობა თქვენსა და ზუგდიდის საპატრულო პოლიციას შორის, რამაც წარმოქმნა აღნიშნული საკონფლიქტო სიტუაცია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ პასუხს უკვე ექნება კანონის სახე, რომლის შესრულება სავალდებულოა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურისათვის.

პატივისცემით,
გაზეთ „ილორის“ რედაქცია

გიორგი ლეონიძის ქართული მესიანიზმი

მესიანიზტი იდეოლოგია თითქმის ყველა ქრისტიანულ ერს აქვს. მესია ნიშნავს მსხნელს და არა დამპყრობელს. მესიანიზტი იდეოლოგიას არაფერი აქვს საერთო არც გერმანულ ნაციზმთან, რომელიც ნორდული რასის განსაკუთრებული ხაზის ქადაგებდა, არც რუსულ ბოლშევიზმთან, რომელიც იდეოლოგიის მიხედვით რუსი მუშა უნდა გამხდარიყო მსოფლიო პროლეტარიატის ლიდერი (ლენინი). არც დღევანდელ რუსულ იდეოლოგიასთან, რომელიც „დასავლური ცივილიზაციის დამღუპველობის“ მომიზეზებით, სხვა ერებს თავის ლიდერობას სთავაზობს ნაძალადევად, როცა თვითონ ტაქტი და ადამიანური კულტურა, საერთოდ გონიერება, აკლია.

მესიანიზმს, როგორც მოვლენას დიდი ისტორია აქვს და ძველი აღთქმის დროიდან არსებობს. მესიანიზმი ერის გადარჩენის, ხსნის იდეოლოგიაა. ერები, განსაკუთრებით ქრისტიანი ერები, ამგვარი იდეოლოგიით იტყობნენ სულს დამპყრობლების სასტიკი თარეშის დროს, როდესაც ყველაფერი უიმედოდ ეჩვენებოდა კაცს. იდეოლოგები ერს ახსენებდნენ ეროვნული მესიანიზმის შესახებ და უშედავთო ბრძოლებში გამარჯვებასაც აღწევდნენ.

ზოგს ჰგონია, რომ ქართული მესიანიზმი 1970-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა. ეს შეცდომაა. ზოგს ჰგონია, ქართული მესიანიზმს რამიმე საერთო ან მსგავსება აქვს რომელიმე რუსულ მოვლენასთან. ესეც დიდი შეცდომაა. ქართული მესიანიზმი ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ჩემი აზრით, უფრო ადრე (ამის ნიშნები შეიმჩნევა „ფარნავაზის ცხოვრებაში“). გაგისწავლოთ იოვანე-ზოსიმე, გიორგი მერნულე, სუმბატ დავითის ძე და სხვა. ქართული მესიანიზმი ეროვნული იდეოლოგიაა. ქართულ მესიანიზმის საფუძვლებს რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნებოდა. ნაწილს მკითხველი პრესა-გაზეთში იპოვებს ჩვენს ბლოგში, ნაწილს მერე შემოკითვავებთ...

ქართული მესიანიზმი იტყვის როგორც ქრისტიანულ კულტურას, ისე იმ კულტურასაც, რომელიც დახვდა ქრისტიანობას. ქართული საზოგადოება მზად იყო მიეღო ქრისტიანობა. სხვა ხალხები მზად იყვნენ მიეღოთ მაჰმადიანობა და ა. შ.

როგორც ვთქვით, ქართული მესიანიზმის შესახებ არა ერთ ავტორ-იდეოლოგს დაუწერია. ქართული მესიანიზმის შემადგენელი ნაწილი ღვთისმშობლის წილხვედრობა ჩვენი ქვეყნისა, უფლის კვართის დაბრძანება მცხეთაში... ასევე სხვა მოვლენები...

სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა საფუძვლებს ხედავენ ქართული მესიანიზმისთვის. ყველა ძალიან საინტერესოა. დღეს ვთავაზობთ გიორგი ლეონიძის შესანიშნავს ესეს „ქართული მესიანიზმი“. მასში მკითხველი ბევრ საინტერესო იპოვებს – ბრწყინვალე მიგნებები, შესანიშნავი შედარებები...

მაგალითად: „ბუდეს, რომელიც შეიქმნა საზარი ფანტომი, ათამაშებს ქალის მოღვევილი ჩვენებას. ამ სუსტი თითებით მოდის რასის ხსნა და გადარჩენა – ღვთისმშობელი: მტრედისფერი კალთებით დამდგარი საქართველოზე, მის ღურჯმა მხერამ რასის მაგარი სიმტკიცე მოღვევა. ეს ქალური გახედვა ბოლომდე მოსდევს საქართველოს ისტორიას. ვიდრე მარიამ დედოფლამდე, რომელმაც თავის ხანჯლით დაასრულა ძველი საქართველო“.

რა კარგადაა დანახული ქართული ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი თვისებები:

„ჩვენ ყველაზე მეტად გვესმოდა ქრისტიანობა, როგორც ხსნა ახლობლის, მეზობლის. ამგვარი გაგება არ ჰქონია არც ბიზანტიას და არც იმპერიალისტურ რუსეთს. მესიანიზტურ პოლონეთმაც კი პრინციპად ჯერ თანამემამულეთა ხსნა მიიღო“.

ეს კი, უნდა წავაკითხოთ დღევანდელ სეპარატისტებს, რომლებიც დიდ იმპერიულ ოქეანში თავს იღრბობენ:

„ჩვენ დაგებულ ერთ ჩვენი ჯიშის ფესვებით და გავანოყიერეთ კავკასიის სხეული, ამიტომ კავკასიის წვრილ ერებს, ყოველთვის ერჩინათ თავისუფალი შეზრდა საქართველოსთან, ვიდრე დაღრჩობა თურქანის თუ ძველი ჩრდილოეთ იმპერიის უზარმაზარ ზღვაში“.

დაიხ, გიორგი ლეონიძე არა მარტო დიდი პოეტი, არამედ დიდი იდეოლოგიც იყო. მისი იდეოლოგია წარმოდგენილია როგორც ლექსებში, ისე წერილებში. წინამდებარე ესე გამოქვეყნდა გაზეთ „ბახტრიონში“, № 1922 წელს, როცა ბოლშევიკები ბატონობდნენ და თითქოს არავი-

თარი იმედი აღარ იყო. თითქოს ამბობდა – ყველამ უნდა იცოდეს, ჩვენ მაინც შევკამთ ყველა იმპერიას, რომლებმაც ჩვენი შეჭმა გადაწყვიტეს...

ახლაც ძალაშია გიორგი ლეონიძისა და სხვა ქართველი იდეოლოგების პროფეტული განცდა – ჩვენ შევკამთ უკანასკნელ იმპერიებს...

გიორგი ლეონიძის ამგვარი იდეოლოგიის შესახებ გამოკვლევა გამოქვეყნებული აქვს გიორგი ჭავჭავაძის (აქვე მადლობა თენგივ ვერულავას ეროვნული განძის შეგროვებისათვის).

გიორგი ლეონიძისა და საერთოდ, ქართული მესიანიზმის შესახებ სხვა დროსაც ვისაუბრებთ.

ქართული მესიანიზმი

წმ. ბასილი კესარიელი ამბობს: ეხიდანს საშო არა აქვს. იგი გამოსჭრის დედის გვერდებს და იბადება.

სად არის ჩვენი საშო? ჩვენ გამოვფატრეთ ყველა გვერდები და ჩვენი სხეულიც აკეპოთ. მაგრამ ვერ ვიპოვეთ დათესილი საშო? საშო – ეხიდანა ჩვენი პირველი დამტკიცებაა, რომ ჩვენ ვართ უძველესი დემეტრიუსი, რომ საშოც არ ვგახსოვს. აქედან იწყება მესიანიზმი მოსხლეტილი ბუდის.

იბერია ამ ძველ მსკეპში ჩვენ დაკარგეთ ხორცი და საშო და ჩვენი სული დავეთვა აფრიკალბულ პერანგს (აქედან წმ. კვართის მესიანიზმი).

ჭანგანმა კავკასიაში აღარ გაგვიშვა და მიგვალურსმა ჩახეთქილ ქედებს, მაშინ ჩვენ დავირქვით ამირანი და რევანშისათვის შევქმენით ტიტანური რელიგია. კავკასიაში ჩვენ უკვე მოველით საფლაგში ჩასაწოდელ და სამარეში ნძრევის მაგიერ, არტახებში დავიწვეთ რწევა, რადგან ჩვენ კიდევ მოვიგონეთ ჩვენი დემონიური ორბის სიჭაბუკე აქედან ჩვენი მეტაფიზიკური გენეალოგია.

მაგრამ ამ კუბოში საშუალოდ დაშინდა რასის ხერხემალი და შეიქმნა ფსიხოლოგია გადარჩენის. შემდეგში საქართველოს ერთი პოლიტიკა ჰქონდა – პოლიტიკა გადარჩენის. ბუდეს, რომელიც შეიქმნა საზარი ფანტომი, ათამაშებს ქალის მოღვევილი ჩვენებას. ამ სუსტი თითებით მოდის რასის ხსნა და გადარჩენა – ღვთისმშობელი: მტრედისფერი კალთებით დამდგარი საქართველოზე, მის ღურჯმა მხერამ რასის მაგარი სიმტკიცე მოღვევა. ეს ქალური გახედვა ბოლომდე მოსდევს საქართველოს ისტორიას. ვიდრე მარიამ დედოფლამდე, რომელმაც თავის ხანჯლით დაასრულა ძველი საქართველო.

ნინო სუმბულის თმებით. ამ თმებმა დააღწო საქართველოს დუდაბი. მისი მოსვლა საშუალო ირონია ქართულ სიმტკიცის. შემდეგში მისი ვაზის განედლებული ჯვარი საფუძვლად დაედო ქართულ სკიპტრას.

თამარში კვლავ იდვიტებს ბებერი თესლი: „უფალმან აღმიღო და მცხო ზეთითა ცხებულისა მისისათა“ – „მე თამარ, მიწა შენი და მიერევე ცხებულებასა ღირსმეავ და თვისობასს“. თამარის ფულზე: „თამარ, ასული გიორგისა, შემწე მესისისა“. თამარში საქართველო ცხადდება, როგორც გაწმენილი ტიტანი, რომელშიც დემონი ამჟღავნებს თავის სახეს. გიორგი ლაშას დაბადებაზე, მარტინე სწერს: „ტაბახმელისა, ბეთლემე მყოფელმან, მუხე შვა ძე სწორი ხეთისა“. ეს უმაღლესი დამტკიცებაა ქართული მესიანიზმის.

თამარის მორე სახეა, ის ხორტებდატომული „გორგასლიან-დავითიანი“ დროში, რომელიც ატარებდა საქართველოს გარუჯულ სახეს, სარაციინებისა და სელჩუკთა ატეხილ ურდოებში.

მარტო ეს დროში ტრიალებდა თამამად ყველა ცეცხლებში და იერუსალიმის მკაცრი ალაფიცი გადარღვეული იყო ქართული დროშის შრიალით („არა არს წესი ჩვენი ქართველთა, რათა ვიხილოთ მტერი ჩვენკენ მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, ვინდ იოს სიკვდილი“). ცნობილია, რომ პირველად იერიშზე მუდამ ქართველები გადაიდნენ. ამ დროშას არ ატარებდა ანგარება, ეროვნული ეგოიზმი, – ეს ძველი აღთქმის იუდეანობაა. აქ იყო სხვა დანიშნულება, მაშინ, როცა ჩვენი მეზობლების თვითშეგნება ხშირად პირად გადმერთებამი გადაიდოდა.

ეკლესია რა იყო, რომ საქართველომ ქრისტიანობა დააბერა? ქრისტიანობას მან შეუტია მაგარი ეროვნული ენერგით. ამ ძალით ქრისტიანობამ ჩვენიშუ თავის სოციალურს და უნივერსალურს მნიშვნელობას მიადწია. ამიტომ ქრისტიანობამ მოაშურა საქართველოს, როგორც

კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეს. შემდეგში ქრისტიანობა საქართველომ ეროვნული ფაქტებით გაადრმავეა.

ჩვენ ყველაზე მეტად გვესმოდა ქრისტიანობა, როგორც ხსნა ახლობლის, მეზობლის. ამგვარი გაგება არ ჰქონია არც ბიზანტიას და არც იმპერიალისტურ რუსეთს. მესიანიზტურ პოლონეთმაც კი პრინციპად ჯერ თანამემამულეთა ხსნა მიიღო. თუ შედვინების დოქტრინით ახლა დგება ეკლესია იოანესი, – სამეფო სიყვარულის და ენთუზიაზმის, – (I – სინტეტიურის – პეტრესი, II – პავლესი – ეპოქა დოქტრინების) ჩვენმა ეკლესიამ არ იცის ერესები, არც ცხარე დოქტრინები. იგი თავიდანვე იყო ეკლესია „იოანესი“. რომ ისტორიულმა ერმა თავისი დანიშნულება შეასრულოს, მან უნდა იარსებოს. ყოფა საქართველოსი კი არა ყოფილა ეპიზოდური, – უბრალო ეტნოგრაფიული ისტორიული ფაქტი, ცოცხალ ისტორიულ ძალას მოკლებული.

ჩვენ დაგებულ ერთ ჩვენი ჯიშის ფესვებით და გავანოყიერეთ კავკასიის სხეული, ამიტომ კავკასიის წვრილ ერებს, ყოველთვის ერჩინათ თავისუფალი შეზრდა საქართველოსთან, ვიდრე დაღრჩობა თურქანის თუ ძველი რუსეთის უზარმაზარ ზღვაში. მოიგონეთ ქართველი მეფეების ტიტულატურა: „მეფე მეფეთა, იესიანი, დავითიანი, სოლომონიანი, ბაგრატიონი, ნებთა ღვთისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოველისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა, ვიდრე დასავლეთამდის მქონებული მყრობელი და თვით ხელმწიფე მფლობელთა“. აქ, მართალია, მოცემულია აზიის თვითმყრობელობის გიგანტობა, მაგრამ მასში რეკავს მესიანიზმის სპილენძი.

ცნობილია, რომ საქართველოს მეფეს სუფრაზე ეჯდა თორმეტი მეფე: ორი ოსთა, კახთა მეფე, წანართა მეფე, სამი ტაოელი მეფე, სომეხთა მეფე, ტრაპიზონელი და ორი შარვანშა. შემდეგში ქართული ტიტულატურის მესიანიზმი გადაიდგეს რუსებმა, იმ სიყვლებიდან, რომელსაც თბილისი უგზავნიდა მოსკოვი.

ვერობიველი მარდენი მეტად გააკვირვა ვახტანგ V-ის წერილმა, რომელიც პოლშის კორთლს მისწერა. ამ წერილში მოცემულია საქართველოს რწეულობა, როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური. მოგზაურ მარკო პოლოს ოქროს ქრდოში ყოფნის დროს გადაცდეს, რომ ქართველ ბაგრატიონებს ცალი ბეჭი დაბადებით აქვთ არწივ დარტყმული.

კაპრიზები ჩვენი კარის ეტიკეტების, თავგუდადამსმელი ცერემონიალები და უფრო უჩვეულო პერსონაჟები ქართული ისტორიის, დამაბრმაველები პორფირები – სისხლით, დაღატით და შეთქმულებით. დედოფალი ამორძალები, თვალდათხრილი მეფეები, სასახლის ქსელი როგორც ობობის, სისხლით დაწურული გულები, ინტრიგები მტარვალების და ბრძოლის გაგეულებული პათოსი – ჰდის საქართველოს, როგორც გაფრთხილ კარნავალს.

მოიგონეთ ის ქართველი თავადი, რომელიც ფლორენციის კრებას აკვირებდა არა მარტო დარბაისლობით და მეფურობით, არამედ კონტემპტითაც. ეს განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნულია კათოლიკური ქრონიკებით.

ეს არ იყო გაგეუება, როცა თემურაზ მეფემ შეიდას ცხენოსანს ოქროს ნაღებად დააკრა მოელი ხაზინა და ისე შავიდა კონსტანტინოპოლში. ეს ის მეფეა, რომლის ნათესაობას ეძებდა ფილიპ II, როგორც ამბობს პაპი კლიმენტ VIII. ამ ნათესაობის სადღეგრძელო შესვა შარდენთან შანგავაზ მეფემ.

ცნობილია, რომ აზიელები ეძახდნენ ქართველებს „ყველა ნათესავთა უმეტეს რწეული“. ხოლო ქართველ მეფეებს „მესისის ნათესავებს“. აქ ნაგულისხმევია ბაგრატიონების თესლი – გენეალოგიით ქრისტეს ნათესავი. ბაგრატიონები შემოვიდნენ, როგორც მესიანიზმის კონკრეტული რწეული, მათ სისხლში შემოიკვებოდა ურეულები სახელი მესისის და ისინი აცხადებდნენ საქართველოს მესისის მემკვიდრეთ. ყოველ მანიფესტში გამოაქვთ თავისი მესიანიზტური საშო – იესეს ძირი.

არაბული ქრონიკები და მონგოლების სარდლები იგონებდნენ მათს უმაღლეს ნათესაობას და აღმოსავლეთის მყრობელები ყველაზე უმაღლეს ტიტულატურას უწოდებდნენ ქართლის მეფეებს, ხოლო ვატიკანის და საფრანგეთის კოროლი ქართლის მეფეებს მიმართავდნენ: „Illustrissimo potentissimu Iberiae regi (mmarTveli

მეფეთ-მეფე გაბრწყინებული იბერიისა). აქ მოდის ზვიადობა გორგასლანის აღვსილ ხმალის, დავით აღმაშენებლის ათ ლიტრიანი რახტის ჭექა და სული ქართველ ბაიარხტების.

მაგრამ უკანასკნელი მესიანიზტური ხმალი იყო ირაკლი მეორის, რომლის მეფური სახელიც იმპერატორმა ფრიდრიხ თავის ფულზე მოატრეგინა. ეს იყო უკანასკნელი ლომი, სადავითო სახლიდან მყვირალი, მისი აზატხანის დამმარცხებელი ბაიარადი, იყო დროში ქართული მესიანიზმის

გრძელი იყო გზა გეთსიმანიის მესიას უცდის ჯვარი თურანიდან დაშვებული მონგოლების ცხენის თქარუნი. აზიაში დაბურღული ჩინგის ოქროს ურდო. მონგოლის კნუტი. სისხლში დასოღებული თემურლანგ, რომელიც სთხრის საქართველოს სულს. ჯაღალედდინი გუმბათზე, მარაბდა თავდაჭრილი მეფეები, როგორც ნათლისმცემლები. პილიგრიმის დასიცხული გზები: მცირე აზია, ერანი, სინდეთი, ავღანისტანი, ყანდაარ კრწანისის მწუხრი მერე „ფლეიტა ძელებისგან“, ციმბირის თეთრი ჯოჯოხეთები პოლიარული დამეგობის თენება. ინკვიზიციები. სარწობელაზე ასული არმიები მუშების, რამაც საქართველოს მისცა ატაცებული ხალხის ცხოვრება; რაც საშუალო სასტიკი აძლევს ქართულ ისტორიას. მაგრამ საქართველო ვერ მორიგედგებოდა აზიის ჩაღმას, რადგან ქართული საკითხის არის ფაზის დიდი აღმოსავლეთის საკითხის.

აზიის მიჯნაზე სარაციინის წინაშე გამოსულ ქართველში, ვეროპა ებრძოდა აღმოსავლეთს და ამიტომ ვერავითარმა პოლიტიკურმა ურავანამ ვერ შეარყია მისი მაგარი დგომა. „მის დამეგობულ თავზე აიღეს ხმალი მაკედონელის და სატევარი რომის. პომპეის დროს მას შეესმა ველური უღრიალი რომის ლეგიონერთა ირადის. საუკუნეებში იგი აწლუნებდა ხოსროების, კობადების, კირუსის და ლუკულის ბასრ მახვილს. ყოველი სოფლიო ჭექა თავს ასკდებოდა; მაგრამ ის თავი იღუნებოდა, ინტერედა საშინელებათა წინაშე, მაგრამ არ ირღვეოდა“ (პლატ. იოსელიანი).

XVIII საუკ. უკვე სწამდათ, რომ საქართველოს თავი მიეზჯინა დეოთების ტახტს და მალეც ავიდოდა ტახტზე. სოლომონ წიანობიძე, კანცლერი და მესიანიზტი წინაშეწამებულელებდა: „ბედნიერის ტახტზედ ჯდომა გვიდროსო, ყოველს წინა საუკუნეზედ უფრო იდიდე, ამადლი, უფროს გაბედნიერდი, ცანი ქუხილით გრგვინავდენ ძალსა შენსა, სფერა ქვეყანის გემწოდა ფერხთა ქვეშე“.

ამ სპილენძის ცემაში ირეკება გამძლეობა ქალდეადან ვიდრე საქართველომდე მაგრამ, დაე დარეკოს პლატონ ოსოელიანის ლათინურ სულმა: „ქართველთა მრავალ საუკუნებითა, გამოცდილთა და ცეცხლში ვითარცა პური გამომცხვართა, ვერა ერეოდა ვერცა შინგანი და ვერცა გარეგანი მწუხარება. გადღებული თავისუფლებითა და გაღადებული მითებით; ეცინოდა ბედსაცა და უბედობას. ქართველთა შეჭამეს იმპერიის რომისა, ვითარცა იტყვიის პლინოს, გამოსწოვეს ტენი სპარსთა და თვით დარჩენ შეუჭმელად მათთვის, რომელნიც მტონებენ მათსა შეჭმასა“.

აქ დგება ის გაუსწორებელი ძაღლის კული, რომელმაც შვიდი დრაკონი დაადრწო – „განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკე შენი“. საუკუნეებში დახარჯულ ცრემლებმა დააყენა ბაზალეთი, როგორც ზღვა მეწამული. შიგ წვეს ქართლის მესია – პატარა ბავში, ისე როგორც ებრაელების მეფეთა წიგნშია გამოცხადებული.

თამარის საშო ვერ დაიტია მესია. მიწის საშო უფრო მოძარღვეულია და დაუტყვენელი. ებრაელების შეგნება დასწვა იერუსალიმის ტარის აშენებამ. რუსეთიც მესამე რომის შეგნებაში იყო. ჩვენ უარყვავით უსულთ ქვები და ჩვენი საკუთარი სისხლი და ხორცი ხორცთაგანი ვიწამეთ – ბავში მესია, რომელშიც შედებებულა ორი სული: სული რუსთაველის და სააკაძის.

ამიტომ უყვარს ქართველ ერს ქართული მადონა ქართულ ლექსში:

“ხომალდში ჩაფეკე, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო. ანთებულ სანთელს გამსგავსე ცისკრის ლოცვაზე განახეო. ხელში გუკიერა ყმაწვილი ფარსავ ვერ დაგინახეო“.



პალეოზოოლოგიური აღმოსავლელი ამბროსი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარების ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა.

პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჯეორგიანის მთავარეპისკოპოსის მეფუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.

„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმიდესმა და უნეტარებმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში „ამბროსი აღმოსავლელი“ სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.

1884 წლის აგვისტოს ბოლოს დაბრუნდა ბესარიონი თბილისში.

ამჯერად მისი ინტერესი გააღვივა საზღვარგარეთ ქართული ეკლესიის მაცნე დოკუმენტების წაკითხვამ. ვეროპისა და აზიის ქვეყნებში: იტალიის საეკლესიო და სახელმწიფო, ვატიკანის, „პროპაგანდა-ფიდეს“ თიათანეთა, დომინიკელთა, კაპუცინელთა და სხვათა არქივებში, საბერძნეთში, პალესტინაში, სირიაში და ცულმა მასალებმა.

შემდგომ არეობაგელი ქართველი ფილოსოფოსის, პეტრე იბერიელის და იორდანის უდაბნოს ტაძრის „ლაზთა მონასტრის“ არსებობის შესახებ დაინტერესდა. ეცადა საფუძვლიანად შეესწავლა საინტერესო და მიმზიდველი წარსული.

წარსულის კვლევისა და შესწავლას აქვს საოცარი მიზიდულობის ძალა. მას თან ახლავს ცოდნის მიღების გარდაუვალობა, რაც ყოველ ადამიანში იწვევს სასიამოვნო გრძობას. მით უფრო, რომ ქრისტიანული მოძღვრების შექმნა-კვლევაში ქართველმა მოღვაწეებმა დიდი ძალისხმევა გაიღეს.

1884 წელს, საოცრად გაშალა ფრთები ქართული პრესის დევნამ, რომ არ დაბეჭდილიყო პროგრესული რუსი მწერლების მიუღებელი თარგმანები, არ გამოქვეყნებულყო ხელისუფლების საწინააღმდეგო მასალები, დაეშურებინათ ეროვნული სულის გაღვივება. „ივერია“ და „დროება“ მაინც ილაშქრებდნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის წინააღმდეგ...

...მთავრობამ ფართე ფრონტით შეუტია ინტელექტუალის. მაგალითად, ქუთაისის სახალხო სკოლის დირექტორს მისწერეს, რომ კრებაზე გამოეტანათ დადგენილება პირველი კლასიდან რუსული ენის სწავლების შემოდების შესახებ.

ამ პერიოდში იბეჭდებოდა არაერთი მწვავე წერილი ნაციონალური ინტერესების დასაცავად.

ამ კამს ემთხვევა ცარიზმის პოლიტიკის კიდევ უფრო გაფართოება...

ამჟამად გამოსატყულო ხეწოლის გამო ქვეყნის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ახალგაზრდობის მოწვევებამ უკურვაცქია გამოიწვია. კაცა რომ სიმაღლიდან გადმოვადლო, ოთხივე ფეხზე ერთდროულად ეცემა. არა მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტის გამო, არამედ სიცოცხლისუნარიანობის უშრეტო ენერჯის გამო. ასე იყო ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა.

წიგნის მალაჩის მფლობელი ზაქარია ჭიჭინაძე ვამცნობს „ბესარიონ ხელაია იყო უადრესად მოყვარე თავის სამშობლო ქვეყნის, თავის ერის, ქართული მწერლობის და საქართველოს ისტორიის... ყოველთვის გულ-ნაკლული იყო ქართველი ერის ასე დაცემისა და დაქვეითებაზედ. სიულდა სასტიკად უგულო ამხანაგები. ნამეტურ

ისინი, რომელნიც სშირად საქართველოსაც წარა-მარა უარჰყოფდნენ“.

ვიდრე ბესარიონ ხელაია თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც შეუძლებელია მისი ყურადღება არ მიეპყრო.

1884 წლის დასაწყისში დაიბეჭდა ცნობა ვახუთ „დროებაში“ სამეგრელოს მთავრის ნიკო დიდიანის თანხმობისა, რომ „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაეცა ბიბლიოთეკა, რომელიც საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ლიტერატურისა და სხვა წიგნებს მოიცავდა“.

ბესარიონმა, იცოდა ნიკო რუსეთის მეფის კარზე, პეტერბურგში ელოდა მაღალ თანამდებობას, მაგრამ ჩაეშალა გეგმები. ამიტომ მისი ინიციატივა მეტად საგულისმყოფო იყო „თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოებას მოუტან რაიმეს, სარგებლობას ჩემს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ თავს ბედნიერად“ – წერდა ნიკო.

აპრილის თვეში კომისია გაემგზავრა ზუგდიდს, ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი, იონა მეუნარგია, ვასო მანაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, სამსონ ყიფიანი. კომისიის წევრები ჩავიდნენ ქუთაისში, იქიდან ბანაში, თავად მექი ფაღავას ეწვივნენ, რომელიც ქუთაისში იურისტიად მუშაობდა.

ილიამ, ფართო და მოვლილი კარმიდამო რომ იხილა სამეგრელოში, თქვა: „მე კახელებს ვეტყვი, წაგიყვანთ და გინვენებთ მეგრულ ეზო-კარს-თქო“.

აქვე გაიმართა სუფრა, სამეგრელოს ინტელიგენციის მონაწილეობით, სადაც ილიამ ბრძანა „დიდია თუ პატარა საქართველო, ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტყილს გადაუვლია ზურგზე მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა და გაწვილებისა მაცხოვარი ძალა იგი ქვეყნის მსხველი სამეგრელოდან მომდინარეობდა. მტერთა მისთა დამორგუნველი სამეგრელო იყო. იგი იყო ერთსული და ერთგული იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება, ასე იყო წინათ, ვერე არის ახლა, ვერე დარჩება მომავალშიც... სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვნახე“.

კომისიამ ზუგდიდიდან თბილისში ჩაიტანა ბიბლიოთეკა, შემდგარი 179 ტომისაგან, რომელთა შორის მრავალი ძვირფასი ხელნაწერი იყო, X-XI საუკუნეებისა.

ამ თაოსნობას მოჰყვა გრიგოლ გურულის მიერ XI საუკუნის ძვირფასი ხელნაწერების შეწირვა წერაკითხვის საზოგადოებისათვის.

სულ მალე, II აგვისტოს „დროება“ აქვეყნებს, ცნობას, რომ „უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ პობედონოსცევს წარედგინა ამიერკავკასიის დეპუტაციის: დ. ჩუბინაშვილის, პოეტ ნ. დადიანისა და ნაკაშიძის თხოვნა, ქართლ-კახეთ-იმერეთისა და სამეგრელოს თავადაზნაურთა სახელით, ეშუამდგომლა, რომ ივერთა, ათონის მონასტერი კვლავ დაბრუნებოდა საქართველოს“.

რადაც დღეები აშორებდა ბესარიონს სემინარიის დამთავრებასთან, რომ მოხდა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელმაც მთელი საქართველო ალაპარაკა.

1886 წლის 24 მაისს, სასულიერო სემინარიიდან გამორიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა ხანჯლით აკუწა სასწავლებლის რექტორი პავლე ჩუღუცი.

ჩუღუცი ბესარიონის რექტორი იყო და მასზე კარგი წარმოდგენა არ ჰქონია.

სწავლების ბოლო თვეები ბესარიონმა მთელი ყურადღება გამოსაშვები გამოცდების მომზადებაზე გადაიტანა. ამიტომ წერით და ზეპირ საგამოცდო დავალებებს წარმატებით გაართვა თავი.

კურსდამთავრებულ სტუდენტებს, როგორც წესი იყო, ახლადდანიშნულმა რექტორმა ვახშამი გაუმართა, სადაც მან გამოაცხადა, რომ მოსულია ცნობა კიევისა და ყაზანის სასულიერო აკადემიიდან, რომ თითო სტუდენტს იწვევდნენ სასწავლებლად.

ვახშამზე სიტყვები წარმოსთქვეს სტუდენტებმა. როგორც სხანს ბესარიონმა თავი შეიკავა სამადლობლოს თქმისაგან რადგან ეტყობა გრძობდა, რომ კეთილსიტყვეს არ იმსახურებდა ცარიზმის პოლიტიკის გამტარებელი სასწავლებელი. სემინარიის დამთავრების შემდგომ ბევრმა სამოქალაქო საქმის გაგრძელება ისურვა. ზოგიერთმა რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლებში სწავლა გააგრძელა. ზოგიერთმა მღვდელმსახურება ირჩია.

ბესარიონს დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა აფხაზეთში გამგზავრება და მკლესიაში მღვდლად შედგომა.

„თუ გსურს ჭეშმარიტება შეიგრძნო, უსმინე სიწმინეს. არსი აღიქვი მისი. იგი მიგაახლოვებს უხილავთან“.

აი, ამ შეგრძნებით მოქმედებდა. არაფერი აქვს საკუთარი სხვისი აზრით მოაზროვნეს. ბესარიონ ხელაიას საკუთარი გზა-სავალი ჰქონდა გასაველელი. რთული, მაგრამ საპატიო.

აფხაზეთში ზოსიმე მოძღვარს კარგად იცნობდნენ, ამიტომ გაისარჯა, რომ შეიღისათვის წადილი აღესრულებინა. ეპარქიის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა.

თუმცა, ერთი წლის წინ იმპერატორის ბრძანებით და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით აღსდგა აფხაზეთის (სოხუმის) ცალკე ეპარქია. იმავდროულად განხორციელდა ეპარქიის რეორგანიზაცია – იგი ვლადიკავკასიის და სტავროპოლის ეპარქიებად დაიყო. ხოლო შავიზღვისპირეთის გუბერნიის 10 ეკლესია სოხუმის ეპარქიას შემოუერთდა. ეპისკოპოსი გაბრიელი ჯერ-ჯერობით რჩებოდა ახალი ეპარქიის ხელმძღვანელად, მაგრამ „ყველა ცდილობდა ცვლილებებისაგან თავი შეეკავებინა“. ამიტომ ბესარიონის დადგენა მღვდლად რამდენიმე თვით გაჭიანურდა.

თავი მეოთხე ილორის წმ. ბიორბის სახელობის ტაძარი აფხაზეთში

ბესარიონი საკმაოდ ერკვეოდა აფხაზეთის წარსულში. იცოდა 1810 წელს რუსის ჯარმა დაიკავა სოხუმი. სეფერბეი შერვაშიძემ საკუთარი ნებით აღიარა რუსი ხელმწიფის უხენახესობა. მიონათლა ქრისტიანულად და სახელად გიორგი დაირქვა. იმავე წელს რუსეთის ხელმწიფემ მას უმადლესი ღრამოტა უბოძა და ცნობილ იქნა თავისი ქვეყნის შინაური საქმების გამგებლად.

1821 წელს გიორგი გარდაიცვალა. მისი ადგილი დაიკავა მისმა უფრომა ვაჟმა დიმიტრიმ. იგი პეტერბურგის კორპუსში იყო აღზრდილი, მაგრამ ისიც ვერ აღმოჩნდა დღევრემელი.

ორ წელიწადში მიიცვალა. სამთავრო მცირეწლოვან ძმას მიხეილს (პამუტ-ბეის) გადაეცა.

როცა რუსეთმა კავკასია მთლიანად დაიმორჩილა. სამეგრელოსა და სვანეთში საკუთარი წეს-წყობილება დაამკვიდრა, დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის საქითი. 1864 წლის შემოდგომაზე მიხეილი თანამორეში, მის საზამთრო სასახლეში ცხოვრობდა. მას ახლდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) მოძღვარი – დეკანოზი ბასილ მიქაბერიძე, მთავარ-დეკანი ივანე თვარაძე, მედავითნე ალექსი დგებუაძე, ბაზიური ოტია კახიანი, მემიძინოე – მანჩა შარაშენიძე, მეძებარი – ბესო მიქელაძე.

ის იყო მიხეილი სანადიროდ წავიდა ტყვარჩელში, რომ რუსმა გენერალმა შატილოვმა ბრძანება მიიღო, მიხეილის გასახლების შესახებ. იმ საღამოს გემი მოადგა თანამორის სანაპიროს და 6000 კაცი გადმოსხეს, მოსალოდნელი ბუნტის ჩასახშობად. მთავრის კაცებმა ჯარის მოსვლის შესახებ გაიგეს, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. უაზრო სისხლისღვრა გამოვიდოდა.

მთავარი თავადვე გამოეცხადა გენერალს, რომელმაც ქუთაისს წაყვანა დაპირდა. მიხეილს გაუხარდა, ჩემს მამულთან ახლოს ვიქნებიო. ოქროსა და ვერცხლის ფული

და სხვა განძეულობა დიდ ყუთში ჩააწყობინა, თან იახლა რამდენიმე სახლო პირი და გემისაკენ გაემართა. მას მიაცილებდა უამრავი ხალხი, მათ შორის სამღვდელეობა.

ეპისკოპოსმა თავი ვეღარ შეიკავა და აცრემლდა – გზა მშვიდობისაო – უთხრა – უფალი შენთან იყოსო.

როცა გემი ნელ-ნელა მოშორდა ნაპირს, საოცარი უსუსურობა იგრძნო მთავარმა, მიხვდა სამუდამოდ მოსწყდა მშობლიურ მიწას.

მოატყუეს მიხეილი, ქუთაისის მაგიერ ნოეფორსისკში ამოაყოფინეს თავი. იქიდან კორონეჟში გადაიყვანეს. დადარდაინებულმა ვეღარ გაუძლო დამცირებას და გარდაიცვალა. ჩამოსვენეს აფხაზეთში და შესაფერისი პატივით მოქვის ტაძარში დაკრძალეს.

1866 წელს აფხაზეთში რუსული მართვა-გამგეობა გამოცხადდა. პოლკოვნიკი კონიარი ლიხნში გაემგზავრა, სამთავრობო რეზიდენციაში, თან ახლდა მიხეილ შერვაშიძის უფროსი ვაჟი გიორგი, ეპისკოპოსი ალექსანდრე და მიქაელ სახოკია. პოლკოვნიკი უდიდრად მოექცა ხალხს, რის გამოც აჯანყდნენ ისინი, მოკლეს კონიარი, სიკდილს ძღვეს გადაურჩა სამღვდლოების წარმომადგენლები.

ამ ამბავს მოჰყვა აჯანყებულთა დასჯა. სამი მთავე ადგილზე დახვრიტეს, 30 ციმიბრში გადაასახლეს. ლიხნში მთავრის სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს და გადაბუგეს. ფერფლმა პაერში აიტაცა წარსული დიდება და ბრწყინვალეობა.

აფხაზეთის მონასტრებში უმთავრესად წირვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ადგილები, სადაც აფხაზეთი ცხოვრობდნენ ბაღნარს გავდა, მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბევრი აიყარნენ, სხვაგან წავიდნენ.

წალკოტი ტყვე იქცა.

ეს ხანა დაემთხვა ურთულეს პერიოდს, როცა მუსულმანური მოსახლეობის ყურადღება მიურიდისიმის დროშის ქვეშ მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიელი თანამოძმეებისაკენ იყო მიმართული. აჯანყებულ მთიელებს ჟანდარმები სასტიკად უსწორდებოდნენ. შეძლეს მათი წინააღმდეგობის გატეხვა. გენერალ ბარიატინსკის თხოვნით იმპერატორმა ხელი მოაწერა განკარგულებას მართლმადიდებელი ქრისტიანობის გავრცელების საზოგადოების დაფუძნების შესახებ, რომლის თავმჯდომარე მეფისნაცვალ იყო, მოადგილე ეგზარქოსი, საზოგადოების წევრები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ.

დაიწყო ფართე მისიონერული ღონისძიებები მთელს კავკასიაში, მათ შორის აფხაზეთში.

ბესარიონი კარგად უწყობდა, რომ აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უშლიდა იმპერიული ზრახვები. ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებული გენოციდი. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება. ლიხნის აჯანყების ჩახშობა, რასაც მოჰყვა თურქეთში მოსახლეობის გადინება და მაჰაჯირობის გავრცელება.

ფაქტობრივად რელიგიამ პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. დამპყრობი და მოძალადე რუსეთი იყო, რომელმაც დაარღვია 1810 წლის ქვეშევრდომობის შესახებ სიგელი – გააუქმა სამთავრო.

ბესარიონს სულიერი მოწოდებით ვიდრე სამსახურს ელოდა მთელი გულისყურით ეცნობოდა აფხაზეთის წარსულს და საეკლესიო ცხოვრებას. იგი კვლავ შეხვდა უმშვენიერეს ქალიშვილს კესარია მერჩულეს და მის გულში ცოლ-ქმრული ურთიერთობის სათნო გრძნობა გათბა.

მამა-შვილის დამოკიდებულება იმგვარი იყო, რომ შეუძლებელია ბესარიონს მამისათვის არ გაემხილა გულისწადილი. ეტყობა, რომ ზოსიმემ არ დაუშალა 17 წლის ქალიშვილთან ოჯახური კავშირის შექმნა.

ბორის ღავითაია (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეგრული ნასიონალიზმი“ ანუ შეთქმულება ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ

მოგონებები

...მე, პატიმარი ვარ და შეგიძლიათ ახლავე კედელთან მიმაყენოთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ჩემი დრმა რწმენით ყოველივე ეს ლაგერენტი პავლეს ძე ბერიას საწინააღმდეგოდ არის მოგონილი და შეთხზული.

(დაკითხვა მოხდა 1952 წლის სექტემბრის თვეში).

მინდა მოითხროთ ჩემსა და 1952-53 წლებში საქართველოს უშიშროების მინისტრ-გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე კოჭლამაზაშვილთან გამართული საუბრის შესახებ.

ჩემი ყოფილი მინისტრის ჩამოსვლა სვანეთში, რომელიც იმჟამად თაღარიგში იმყოფებოდა, მოულოდნელი იყო, მაგრამ უთუოდ სასიამოვნო და საინტერესოც.

მასთან ერთად საქმიანი მივლინებით იმყოფებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნიკო რეხვიაშვილი სპეციალობით ისტორიკოსი, რომელიც ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის – ილია გოგიას ოჯახში ყოფილა გაზრდილი და მეგრულს შესანიშნავად ფლობდა.

სტუმრები ჩემი თხოვნით გამოვიყვანე სოფელ ხაიში და მოწყობილ სამოთახან სასტუმროში დავიბანავე, რომელიც მდინარე ხაიშის თვალწარმტაც ბუნებას გადაჰყურებდა.

ადგილობრივი მოსახლეობის დაკითხვიდან მიღებული მონაცემების შემდეგ სტუმრები გავიდნენ სოფლებში, კონკრეტული საკითხების მოსაკვლევედ. სხვათაშორის გავიგე მათი მეცნიერული დაინტერესების მიმართულება, მივაწოდე ძალიან საინტერესო ფაქტობრივი მასალები ადრინდელ პერიოდში დამზადებულ კერამიკულ მიღებებზე, რომელიც ქვედა იფარში შემთხვევით იქნა ნაპოვნი სატყეოსაზიოდ გზის მშენებლობის დროს. აღმოჩენილი დიდადი კერამიკული მიღების საწყობის მაგვარი ადგილსამყოფელი მიუთითებდა თავის დროზე მათი მასშტაბური და ორგანიზებული წარმოებაზე.

ერთ-ერთი სადამოს, მე და ბატონი საშა განემარტოვდით. მსურდა გამეჩვენა 1953 წლის იანვრის თათბირიდან გამომდინარე მრავლისმთქმელი საიდუმლოებანი, რომელიც ამ შეკრებას ახლდა. როგორც გვახსოვს ჯერ იყო და ჩემს მიმართ სიტყვაში გამოსვლის დროს, პრეზიდენტის ზოგიერთი პირის აშკარა დაპირისპირებული დამოკიდებულება, ხოლო შემდეგ მინისტრი – ა. კოჭლამაზაშვილის სასწრაფო გამოძახება და საოცრად თბილი და კოლეგიალური განწყობილების გამოხატვა.

ვუთხარი – ბატონო საშა, ორგანოებიდან ჩემს წასვლას რიგი მიზეზები უძევს საფუძვლად, მაგრამ როგორც ეს გუშინ გაირკვა მოგახსენეთ, მთავარი ორი ძირითადი საკითხი გახლავთ.

დიდი ანალიზი არ არის საჭირო გაერკვე სინამდვილეში, ცხადია ყოველივე ის, რაც

ამჟამად მიმდინარეობს, ფაქტიურად რუსული შოეინიზმის გაფურცლების დასაწყისია და რაც სტალინის მიმართ ხდება, მისი არარუსული წარმოშობიდან გამომდინარეობს.

მეორე არა ნაკლებად მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ ის, რომ ლ.პ. ბერიას მიმართ შეთქმულთა იგივე ანტიკომუნისტური და ჯგუფმა არარსებული ცრუმასალები შეკოწიწებით რომ მიადვიეს მის დალატით მკვლელობას, რა თქმა უნდა, ამ პროცესსაც ქართველი ერის მიმართ ველიკო რუსული შოეინიზმის საფუძველი უძევს საფუძვლად.

კოჭლამაზაშვილის სიტყვიდან:

„საგამომძიებლო მასალების დრმა შესწავლამ დაბეჯითებით დამარწმუნა, რომ „მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის“ მიმართ წაყენებული ბრალდება სახელმწიფოებრივი დალატის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მაგრამ რეალური მდგომარეობის მიტანა ი.ბ. სტალინთან რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აკაკი მეგლაძის გვერდის ავლით ყოველად შეუძლებელი იყო, რადგან უშუალოდ, ა. მეგლაძისა და მისი თანამზრახველთა მიერ იყო ასეთი ბრალდება ბედალთან დასმენილი. უკვე ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ გამომიყვანა მდგომარეობიდან, საქმე შემდეგში გახლავთ: მინისტრად დანიშნვიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ პირადი ი.ბ. სტალინმა დამირეკა სამსახურში. გასაგებია ასეთი რამ, იმდენად უჩვეულო იყო ჩემთვის, რომ შეეცბუნდი, როგორც ეტყობა სტალინი მიხვდა ჩემი დაბნეულობის მიზეზს და ძალიან რბილ ფორმებში მელაპარაკა.

უნდა აღვნიშნო, რომ ამ ხნის მონაკვეთში, ანუ მის გარდაცვალებამდე ი.ბ. სტალინთან მისივე ინიციატივით სულ მოხუჯერ მქონდა საუბარი. აქედან, ჩვენს შორის შესდგა 1953 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში.

მე, მეონია ი.ბ. სტალინი ჩემგან რამდენჯერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ რამდენადმე დარწმუნდა, რომ „მეგრული ანტიპარტიული საქმიანობა“, რომელზეც ასე დაბეჯითებით უმტკიცებენ მას საქართველოს პარტიული ელიტის წარმომადგენლები, საუკულო მხარეებს შეიცავდა. აღბათ, ამიტომ იყო, რომ სტალინმა დამავალა „მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის“ მიმართ არსებულ საგამომძიებლო და სხვა მასალების მიხედვით შემდგინა ყოველსომცველი დოკუმენტი და ასეთი წარმოდგენა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სახელზე, სხვაგან და არა მისი მისამართით, გაგზავნა ისეთი ხაზგასმით იყო თქმული, რომ მენიშნა თითქოს ამით იგი ამ პროცედურას რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

რაც შეეხება ჩვენთვის უკვე ცნობილ დოკუმენტს, ისტორიულად იმ როლზე შესწავლავ გზაზე ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მხედრად მნიშვნელოვანი გარე-

მოება, რომელიც ჩემი რწმენით გარკვეულ კავშირში იმყოფებოდა ი.ბ. სტალინის მოულოდნელ გარდაცვალებასთან. საქმე იმაში გახლავთ, რომ დოკუმენტი, რომელიც სტალინის დავალებით შევადგინეთ, შეჯერებული იყო ძიების ქვეშ მყოფ „მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის“ წევრებზე არსებული თეორიული და საგამომძიებლო მონაცემებით, რა თქმა უნდა დოკუმენტში ჩვენი მხრიდან რამე დასკვნები არ იყო გამოტანილი, მაგრამ მასში ჩადებული ფაქტობრივი მასალები თავის-თავად გამოირიცხავდნენ დაპატიმრებულთა მხრიდან სახელმწიფოებრივი დალატის კონკრეტულ ბრალდებებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ისეთ ქმედებას, რომლებიც შეიძლება დაკავალიფიცირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ როგორც თანამდებობრივი გულგრილობა. აღნიშნული მასალები კრებულში ჩვენს მიერ გაგზავნილი იქნა თებერვლის ბოლო რიცხვებში, ამდენად ჩემი ვარაუდით ეს დოკუმენტი ი.ბ. სტალინს უნდა მიეღო სიკვდილის წინა დღეებში. ამას ამიტომ ვუსვამ ხაზს, რომ იგი საყურადღებო განსაკუთრებით იმთავით, თუ რა როლის შეასრულეს, ჩვენი თანამემამულეთა გარკვეულმა პირებმა აკაკი მეგლაძის ხელმძღვანელობით შეკოწიწებული „მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის“ მტრული სახელმწიფოებრივი დალატის შესახებ, ასე დაბეჯითებით რომ უმტკიცებენ ბელადს და შეცდომაში შეჰყავთ იგი, ძალიან კარგავდა, უფრო მეტიც, ამით ი.ბ. სტალინი ხალხისა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტის, მისი პოლიტიბუროს წინაშე მოტყუებული და შეურაცხყოფილი გამოდიოდა. ამ ანალიზიდან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, რომ საქმის ამდგავარი მოულოდნელ შემობრუნებას არ შეიძლებოდა ი.ბ. სტალინიმ მწვავე ფსიქოლოგიური დეღვა არ გამოეყვინა და ეს დასტურდება კიდევ იმთავით, რომ პირველ მარტს ი.ბ. სტალინი რატომღაც გაღიზიანებული გამეზავრა კუნცოვოს აგარაკზე, ხოლო შემდეგ რაც მოხდა მეორე დღესვე ყელასათვის ცნობილი ფაქტია, ასე რომ ი.ბ. სტალინის მოულოდნელ გარდაცვალებაში, ჩვენს ქართველებს გარკვეულ მიზეზებში ვიმიჯნობთ.

არსებული მეგრულთა საქმის შეკოწიწებამ, სტალინსა და ბერიას ურთიერთობაში წარმოშვა გარკვეული პრობლემა, რითაც ქართველებს დაგვიკარგვინა საუკუნეებით მტკივნეულად განცდილი სასუკუარი ოცნება – დიდი დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს მიწების გამოთლიანების შესახებ, მაშინ, როდესაც ეს ბედნიერება 1950-51 წლებში რეალურად კარზე იყო მომდგარი. აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ფაქტობრივი მასალა.

მომყავს ამონაწერი მწერალი ვ. აღფენიძის წერილიდან, რომელიც 1991 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ცხოვრებაში“ და რომელიც ნიკოლოზ ქარნავას „საინტერესო ამბავთა სკივრში“ აქვს მოტანილი (გვ. 44-

45 სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი 1997 წ.), სადაც ვკითხულობთ: ნახიმ პიქმეთი (თურქი კომუნისტი, გამოჩენილი რევოლუციონერი, მწერალი და პოეტი, წლების განმავლობაში იმყოფებოდა თურქეთის ციხეში, როგორც პოლიტპატიმარი, ვანთავისუფლებულ იქნა სტალინის ჩარევის შედეგად და მოსკოვში ჩამოვიდა.) ერთხელ სტალინმა მიიწვია კრემლში, მაგრამ რატომღაც ბერიამ მიმიღო. ის წერს:

– რას იტყვი, თურქეთის პრეზიდენტობაზე? მკითხა ბერიამ გამომწვევად.

– თურქეთის პრეზიდენტობაზე? – გაცივებით ვკითხე მე.

ბერიამ შემატყუა, რომ მოულოდნელობისაგან დავიბენი.

– შევარცხვინე ის თურქი, ვინც უარს იტყვის ამ თანამდებობაზე, – ვთქვი მე, – მაგრამ მოხერხდება ეს?

ბერიამ გაიღიმა.

– ერთი პირობით გახდებით სოციალისტური თურქეთის პრეზიდენტი, თუ დაუბრუნებთ საქართველოს ლაზისტანს, ტრაპეზუნტის ყოფილ იმპერიას, ტაო-კლარჯეთს, სხვა ქართულ მიწებს.

თითქმის გულს დანა დამიხვეს.

მე „დავთანხმდი“, მაგრამ ბერია მიხვდა, რომ „პო“ უფრო „არა“ იყო, ვიდრე „პო“.

ბერიამ მითხრა – უკვე შერეული გვეყავს საქართველოს ს.კ. ლაზისტანის საოლქო კომიტეტის მდივანი.

– ქართველია? – ვკითხე მე.

– ქართველია, ლაზია – მიპასუხა ბერიამ.

– შეიძლება ლაზისტანის საოლქო კომიტეტს საქ. კ.პ. ტრაპეზუნტის საოლქო კომიტეტი უწოდონ, მაგრამ ეს დეტალებია... მიმიყვანა სტალინთან.

– როგორ მოგწონთ ბერიას წინადადება?

– მკითხა სტალინმა.

– მე პირველ რიგში კომუნისტი ვარ, შემდეგ თურქი, გენერალსიმუსო სტალინი!

– ვუპასუხე მე.

– სხვა პასუხს არც ველოდი, – მითხრა სტალინმა, – ნიბუხი გააბოლა და დაუმტაცა ამის შესახებ ჯერჯერობით ვიცით მხოლოდ ჩვენ სამმა – მე, შენ და ბერიამ. მეოთხემ ეს შენგან არ უნდა გაიგოს, სანამ ნებართვა არ იქნება. ეს ერთი, მეორე – ლაზისტანისა და სხვა ქართული მიწების დაბრუნების ინიციატივა უნდა გამოვიღოთ ერთ პირდაღად თქვენ, თურქეთის მომავალმა პრეზიდენტმა, ასეა საქართველო პოლიტიკური თვალსაზრისით...

„მეგრულთა საქმის“ შეთხზვა არამხოლოდ ბერიას წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ ვაიქართველთა ჯგუფი ლაზ-მეგრულთა გაერთიანებას დაუშვებლად მიიწვედა და ქართველი მოღალატეების მიერ – „მეგრულთა საქმის“ ავტორებით მოწამულ იქნა ბელადის განწყობილება. მეგრულთა მოულოდნელად დაუშვებლად მიიწვედა და ქართველი მოღალატეების მიერ – „მეგრულთა საქმის“ ავტორებით მოწამულ იქნა ბელადის განწყობილება. მეგრულთა მოულოდნელად დაუშვებლად მიიწვედა და ქართველი მოღალატეების მიერ – „მეგრულთა საქმის“ ავტორებით მოწამულ იქნა ბელადის განწყობილება. მეგრულთა მოულოდნელად დაუშვებლად მიიწვედა და ქართველი მოღალატეების მიერ – „მეგრულთა საქმის“ ავტორებით მოწამულ იქნა ბელადის განწყობილება.

ბიორბი ხუშენია

სოფიო ხორგუანი: „დევნილებმა მიიღეს ბილეთი მარშრუტზე – თბილისი – არსაით“

როგორც საქინფორმს „ქართული პარტიის“ პრესსამსახურიდან აცნობეს, პარტიის პოლიტსაბჭოს წევრ სოფიო ხორგუანის თქმით, დევნილების დევნის მეორე წრე დაიწყო და ამას ამჟღავნებს მშპმ თავად საქართველოს ხელისუფლება აკეთებს. სასტუმრო „აფხაზიდიან“ დევნილების გამოსახლების საკითხზე სპეციალურ სოფიო ხორგუანმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლება ვერ იტყვის, თითქოს ისინი აღნიშნულ შენობაში უკანონოდ იყვნენ შეჭრილი.

„ხელისუფლება თავად არდევს უხეზად კანონს, როდესაც არ ასრულებს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის № 47 განკარგულებას „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ“. არადა, ამ დოკუმენტის მომზადებაზე საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი სოლიდური თანხა დაიხარჯა, – აღნიშნავს ოპოზიციის წარმომადგენელი.

ამასთან, ხორგუანი საზოგადოებას შეახსენებს 2007 წლის 29 ნოემბერს პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ნათქვამ შემდეგ სიტყვებს: „ეს არის დავალება. დევნილებს გადაეცემა ყველა ადგილი, რომელიც ამჟამად სახელმწიფოს ეკუთვნის“.

გარდა ამისა, ხორგუანი საზოგადოებას სააკაშვილის ერთ-ერთ დაპირებასაც ახსენებს. „2007 წლის 1 დეკემბერს სააკაშვილი დევნილებს დაჰპირდა, რომ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველაფერი კარგად ჩაივლის და ჩვენ ყველანი მივადებთ ბილეთს თბილისი-სოხუმის მატარებელზე“. მიხედვით სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ეს ადამიანები თბილისი-სოხუმის მატარებელზე ბილეთს, ალბათ, ვერ მიიღებენ. სამაგიეროდ, მათ მიიღეს ბილეთი მარშრუტზე „თბილისი – არსაით“, იმიტომ, რომ ამათთვის უცნობია, სად უნდა წავიდნენ“, – აცხადებს ხორგუანი.

მიხეილ სააკაშვილი: „რუსული ბაზარი მანკალობაზე, უკანონობასა და ფლიდობაზეა აბეზული“

მას შემდეგ, რაც ქართული დევნის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების საკითხის განხილვა აქტიურ ფაზაში შევიდა და ქართველ მეწარმეებს ამ დიდი ბაზრის ხელახლა ათვისების შესაძლებლობა მიეცათ, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის კრიტიკა ამ მიმართულებით გაააქტიურა. სააკაშვილი რუსული ბაზრის „მინუსებზე“ საუბრობს, ამგვარი რიტორიკა კი ქართველი მეწარმეების დაშინების მცდელობას ჰგავს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა კახეთში სოფლის მეურნეობის მინისტრთან, გუბერნატორთან და რაიონის გამგებლებთან შეხვედრაზე განაცხადა, „რამდენიმე წლის წინათ ვენახის ამოძრევისა და განადგურების საფრთხის წინაშე დავედეთ, რადგან ჩვენმა ოკუპანტმა (ოპოციტალურად მაშინ ჯერ არ იყო ოკუპანტი) ემბარგო, პრაქტიკულად, ერთადერთი მიზნით შემოიღო – მათ იმის იმედი ჰქონდათ, რომ დევნის ბაზარზე დაბრუნების მიზნით, კახელები გაიტყვევდნენ და პირადად ჩააბარებდნენ „ციხესიმაგრის“ ვასალებს. პრეზიდენტის განცხადებით, ისინი ტულად იცნობენ კახელებს! ჩვენ შაპ-ბანას და სხვა დამპყრობლებს გავუქვით და კარგად ვიცით,

რა უნდა მოვიმოქმედოთ. მთავარია, რომ ჩვენი ვენახები გადავარჩინოთ და მთავარი კრიზისი დაძლეულია“.

„წელს საექსპორტო პროდუქცია აშშ-ს ბაზარზე გაცილებით დიდი რაოდენობით უნდა შევიდეს, მით უფრო, რომ საქართველომ ამერიკაში სასაქონლო ნიშანი დაიცვა. ჩვენ უნდა მივხედოთ იმ ბაზრებს, სადაც არის კანონიერება, გამჭვირვალობა და შესაძლებელია ბაზრის პროგნოზირება. ამერიკული ბაზარი წარმოუდგენლად დიდი რუსულ ბაზართან შედარებით. რუსულ ბაზარზე იქვე წარმოებულ დევნის სასაღებდნენ, მთელი ბაზარი უკანონოზე, ფლიდობასა და ყაჩაღობაზეა აბეზული. ჩვენ რომ შევედოთ ავიღოთ რუსეთისგან, სანამ ბოთლებს ვიყიდით და პროდუქტს ვავამზადებთ, რუსები ადვილზე წარმოებულ ფაღსიფიცირებულ ვითომ ქართულ დევნის გაყიდვას, ჩვენი შედეგი კი იქნება ნული. ბევრად უფრო აქტიური მუშაობისკენ მოგიწოდებ, რადგან ჩვენს პროდუქციას უზარმაზარი პერსპექტივა აქვს ევროპაში, ჩინეთში. ამის მისაღწევად დიდი ენერჯია უნდა დაუხარჯოთ. ექსპორტის სტაბილურად გაწარმოება უკრაინაში, ყაზახეთში და ბევრად

უფრო აქტიურად უნდა ვიმუშაოთ ბალტიისა და პოლონეთის ბაზრებზე, ანუ რომ, მე ვფიქრობ, რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება პრაქტიკულად აღარ არსებობს“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, მან ხელისუფლების წარმომადგენლებს მომავალი წლის მთავარ მიზნად საქართველოს შიდა ბაზრის ათვისებაც დაუსახა. ტურ-იზმის განვითარების პირობებში სააკაშვილს ეს მნიშვნელოვნად მიანია, რადგან, მისი აზრით, ქვეყანა ბევრად მეტ შემოსავალს მიიღებს. „ჩვენი მთავარი ბაზარი მომავალ წლებში საქართველო გახდება. მოდერნიზაციის პროცესით, 2015 წელს ვეგარაუდებ, რომ 7-8 მილიონ ტურისტს გვეყოლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ქვეყნის სტუმრებზე, დაახლოებით, 10 მილიონ ბოთლი უნდა ვიანგარიშოთ. ამას ადგილობრივთა მოთხოვნაც დაემატება, რომელიც იმ დროისათვის 8 მილიონამდე ბოთლი იქნება (დღესდღეობით შიდა მოხმარება 6 მილიონ ბოთლს შეადგენს) და, დაახლოებით, 20 მილიონამდე ავად, რაც ჩვენი წარმოების დაახლოებით 40 პროცენტია. ეს კი სერიოზული გარდევია“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

სამიწმორბი



თავურ ქორიძე: ჩვენ სწორად ხელა გვიღვას უზნურობის ხანა და ასეთ ვითარებაში გაპარული არჩევნები პერაფრით ვერ იქნება პოზიტიური შედეგის მომტანი

უკანასკნელმა ათწლეულებმა აჩვენა, რომ საქართველოში ხელისუფლება არჩევნებით არ იცვლება, ხოლო ქართული საზოგადოება მის გარშემო მიმდინარე პროცესების მიმართ სრულიად ინდიფერენტული გახდა. დღეს თუ არა მსხვერპლის გაღებად ის „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ და ამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გვესაუბრება ქურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მთავარი რედაქტორი თემურ ქორიძე.

– ბატონო თემურ, ღირდა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას ბრძოლა, საერთოდ ეროვნული მოძრაობა, ის მსხვერპლი, რომელიც კონკრეტულმა ადამიანებმა და ქვეყანამ გადაიხადეს იმ სახელმწიფოდ, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 20 წლის შემდეგ მივიღეთ?

– მსგავსი შეკითხვა არაერთხელ მსმენია. ასეთი გამანადგურებელი ეჭვის არსებობა უკვე თავისთავად საგანგაშო მოვლენაა. ქართული საზოგადოება დღეს არსებობის საზრისს მოკლებულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ამორფულ ნაწილაკებად არის დაშლილი. მის სულში ღრმა დეპრესიამ დაისადგურა და ამის გამო გარშემო მიმდინარე პროცესების მიმართ ის სრულიად ინდიფერენტული გახდა. ქართველი კაცი სულ უფრო მეტად ემსგავსება კამიუს მიერ დახატულ გაუცხოებულ მერსოს – ადამიანს, რომელმაც საერთოდ დაკარგა.

“ზოგჯერ ხალხი თვითონ დაღატოხდა ხოლმე თავის თავს”, – შენიშნავდა ერთი ღრმად დაკვირვებული მწერალი და იქვე იმედისმომცემ მიზნებასაც აკეთებდა: „დაიხ, ხალხსაც, როგორც ცის მნათობს, აქვს უფლება დაბნელებისა. ეს არაფერია, ოღონდ ისევე განათდეს და მნათობის დაბნელება ღამედ არ გადაიქცეს“... ახლო წარსულის ჩვენი დიდი მოაზროვნეებიც ამგვარადვე განსჯიდნენ: ქართველი ერთი დღეს „ავადმყოფია“, „მიბნინა“, „კლდეზე მიჯაჭვულია“, მაგრამ მას უთუოდ შესწევს უნარი „გაღვიძებისა“, „ფეხზე დადგომისა“ და „იმ ჯაჭვის გაწყვეტისა“... რა იძლევა ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს? – ის, რომ ერთი ჭეშმარიტად „უხრწნელობისკენ“ არის მიდრეკილი და მისი არსებობის მიზეზი მტკავრი სწორედ ამაზე მიგვანიშნებს, ამიტომ დროებითი „დაბნელება“ და „მიბნინება“ არამც და არამც მის სულთმობრძობად არ უნდა მივიჩნიოთ. არსებობს ასეთი გამოთქმა: „საზარელი უვიციობის შედეგია“... ქართველი ერის კულტურული-ისტორიული ენერჯის უფლებებელყოფა სწორედ ასეთი „შედეგია“.

კი, ბატონო! მრავალი პატრიოტი გულმოკლული წავიდა ამქვეყნიდან. ერთმა კარგმა პოეტმა კი ბოლოს ასეთი რამ დაიწვილა: „მე რომ საქართველო მინდა, ეს ის საქართველო არ არის“...

ერთი შეხედვით, იმედისმომცემი აქ არაფერია, მაგრამ არც უიმედობაა! სასოწარკვეთილების გრძობა, ალბათ, მაშინ დაგვეუფლებოდა, ავტორს კმაყოფილება რომ გამოეხატა. ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება, სწორედ მაშინ კვდება, როცა მას თვითკმაყოფილება შეიპყრობს და განახლების წყურვილი დაუშრიტება.

წლები ჩვენი ახლო წარსულის დიდი მოაზროვნეები ვახსენე. ცხადია, აქ ილიას, აკაკის, ვაჟას, არჩილ ჯორჯაძეს, ნიკო ნიკოლაძეს და ამ რანგის სხვა მამებს ვგულისხმობდი. თითქოს გუშინ იყო, ზვიადი და მერაბი ანთებული ჩირადდნებოდა რომ მიუძღოდნენ მამოვლიშვილებს, რომლებიც, თავის მხრივ, არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მემკვიდრეობა მიერ გამოქანდაკებულ შორეულ წინაპრებს. ახლა კი რას ვხედავთ? „დაიდალნენ თავგანწირულები, დაბრუნდნენ გმირები, დიდებულთა ხელზე კოცნით გააძნენ მლიქვნელები, დიდი სიმდიდრე შეიძინეს ანგარების მოყვარულებმა“... ეს ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებია, საფრანგეთზე თქმული, მაგრამ საფრანგეთი დღეს ცოცხალია და ხვალაც ცოცხალი იქნება. ხვალ საქართველოც უთუოდ გაღვიძებს! სწორედ ამიტომ უნდა ავიჭყოლო, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. და რაკი დღევანდელი საქართველო „ის საქართველო“ არ არის, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი გუშინ ერთად ვიბრძოდით, დღეს გულზე ხელის

დაკრეფის დრო არ არის. დღესაც, ისევე, როგორც გუშინ და მარადეამს, თვითგანახლების წყურვილით უნდა აღვივსოთ, რადგან, როგორც ილია ბრძანებდა, „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

– ზნეობასა და სულიერებას უტყვენ ყველგან, სინოდის სხდომებზეც კი, რომელსაც ტირანის იერით ესწრებიან ძალოვანი ჩინოვნიკები. რით ვერ ვისწავლეთ, რომ ეს გზა, უფაღვანე ბრძოლის გზა, ტაძრამდე არამც და არამც არ მიგვიყვანს.

– სულიერება და ადამიანური ღირსება დღეს ჩვენში საგრძნობლად არის დაკნინებული. როგორც გასაკვირიც უნდა იყოს, ამის ნიშნებს ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები ამჟღავნებენ. ტელევიზიით ლამის ყოველდღიურად აშუქებდნენ შარაგზეზე, ბადვენახებში თუ გამოქვაბულებში გამართულ „გასვლით“ სამთავრობო სხდომებს, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რას დაემსგავსებ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, ანუ მინისტრები, გუბერნატორები და მათი ამხანაგები. ამ საცოდავ არსებებს არა თუ ღირსებისა და სულიერების, არამედ უბრალო ადამიანური სიცოცხლისუნარიანობის ნიშნულზეც კი დაკარგული აქვთ. ისინი მონური მორჩილების გამოხატველი მხურთ შესცქერიან თავიანთ მარჩნაღს და ამ უკანასკნელის მიერ ველური გახლეჩებით წამოსროლილ ყოველ უაზრო რეპლიკაზე, იმაზე ათჯერ უფრო მეტად პატარავებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან. აი, ასეთია დღეს ქვეყნის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკთა სულიერ-ზნეობრივი ფიზიონომია. ამის შემდეგ რა უნდა ვთქვათ გაუხადების სიღატაკით დაბეჩავევულ ჩვენს ასიათასობით თვისტომზე, რომელთაცან ზოგი ზღვის აქაფებულ ტალღებში ფეხებზე ესხვება „საყვარელ“ პრეზიდენტს, ზოგიერთი კი სახალხოდ ხელზე ეამბორობა მას, ვითარცა უფლის მიერ ხელდასხმულ ანგელოზთა ფრთაშესხმულ გამოცხადებას...

თქვენ მეკითხებით, რატომ ვერ ვისწავლეთ, რომ ეს გზა ტაძრამდე არ მიგვიყვანს? რა ვითხრათ? განა სურს კი ვინმეს ტაძრამდე მიხვლა? მისმა უწმინდესობამ თვალდაპირველად საჯაროდ და ყველასთვის გახაზებ ენაზე განაცხადა, – ეს კანონი ეკლესიისა და ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული. მოგვიანებით თურმე გაირკვა, რომ ყველაფერი კარგად ყოფილა. ამას ისიც ადასტურებს, რომ მისი უწმინდესობა, უკვე მთელი თვეა, გვერდიდან არ იცილებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე მზრუნველ პრეზიდენტს. ალბათ, მისმა უწმინდესობამ ჩვენზე უკეთ იცის, რომ ხელისუფლება ერთგულად დგას ეკლესიის სადარაჯოზე. სხვაგვარად რომ იყოს, ის, ალბათ, სწორედ ისე მოიტკეპოდა, როგორც არც თუ შორეულ წარსულში მისი წინაპრები – პატრიარქი ამბროსი ხელაია მოიქცა. ამ წმინდა მამამ საქვეყნოდ დაგმო 1921 წლის ბოლშევიკური გადატრიალება და ვენუის საერთაშორისო კონფერენციას საგანგებო მემორანდუმით მიმართა; მეტიც, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლას ღია მხარდაჭერა გამოუცხადა და ტყვეიასაც ისე უდრეკად დაუხვდა, როგორც ერის ჭეშმარიტ სულიერ წინამძღოლს შეპყვრის.

– უკანასკნელმა ათწლეულებმა აჩვენა, რომ საქართველოში ხელისუფლება არჩევნებით არ იცვლება, არც სააკაშვილი წავა არჩევნებით. როგორც იტყვიან, არა შეჯდა მწვერი ხესა... თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?

– ისევე ილია უნდა დავიმოწმო: „ხმებს კი არ უნდა ითვლიდნენ, არამედ უნდა წონიდნენ“... ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიულობის პირობებში ჩატარებული არჩევნები არ შეიძლება ქვეყნის გადარჩენის პანაცეად დავსახოთ. მივლით, ერთი წუთით მოუხსნით მთელ ჩვენს ფანტაზიას და წარმოვიდგინოთ, რომ გაისად საქართველოში მართლაც სანიმუშო არჩევნები გამართება. ვინ უნდა ავიჩინოთ? ჯერჯერობით ჩვენში თურმე ორას ჩვილი მეტი პარტია რეგისტრირებულია. მათი რაოდენობა კი კატასტროფულად მატულობს და არაჟინ იცის, არჩევნებში რამდენი მათგანი მიიღებს მონაწილეობას: 50? 100?

ახლა ამომრჩეველსაც მივაპყროთ მზერა. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი საზოგადოება დღესდღეობით სრულ დეპრესიაში იმყოფება და ამის გამო მას დაქვეითებული აქვს მოვლენათა ჯანსაღი გააზრების უნარი. „ხან უზნური ვარ, ხან ბრძენი“, – წერდა აკაკი. ჩვენ სწორედ ახლა გვიღვას „უზნურობის“ ხანა და ასეთ ვითარებაში გამართული არჩევნები ვერაფრით ვერ იქნება პოზიტიური შედეგის მომტანი. მაშ, სად არის გამოსავალი? პირველ რიგში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში დღეს არ არსებობს არც ერთი რეალური პოლიტიკური ძალა, საერთოდ არ გვაქვს ჭეშმარიტი პოლიტიკური ელიტა და არ გავაჩნია ის უმთავრესი თვისება, რასაც პოლიტიკური კულტურა ჰქვია.

ამიტომ ეროვნული ხსნის ამოცანა უნდა იტივროს საზოგადოების კულტურული-ინტელექტუალურმა ელიტამ (რომელიც ჯერ კიდევ შემორჩა ჩვენს ბედურულ სამშობლოს). მან უნდა მიადვილოს ეროვნული თანხმობის დროებითი გარდამავალი მთავრობის შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მთელი ჩვენი ეროვნული ენერჯის ამოქმედება. საზოგადოებრივ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს პარტიათა ფინანსური წყაროები, მკაცრად უნდა შემოწმდეს პოლიტიკური ორგანიზაციების შიდადემოკრატიულობის საკითხი. ყველა პარტიას, რომელთა ხელმძღვანელი ბირთვი ათი წლის განმავლობაში უცვლელად იკავებდა გაბატონებულ მდგომარეობას, ხანგრძლივი დროით უნდა აეკრძალოს არჩევნებში მონაწილეობა.

მილით, ამჯერად ამით დაეკმაყოფილდეთ. თუმცა, არა მგონია, ჩემმა ნათქვამმა ოდნავ მაინც დააკმაყოფილოს ე.წ. კვალიფიციური (!) პარტიების თუნდაც ერთი „ლიდერი“.

– ე.წ. სომხურ საკითხს ყველა თავისუბურ ინტერპრეტაციას უკეთებს; თქვენი აზრით, პრობლემა სომხებშია თუ ნამოსახარებში, ქართულ გვარს ამოფარებულ დამურებში, რომლებსაც, შესაძლოა, გულზე მართლმადიდებლური ჯვარიც ეკეთოთ, მაგრამ ზურგს უკან ხაჭკარს მალაფდნენ და, ეშმაკმა უწყის, ვის ინტერესებს ეს სახეობებიან.

– ბოლო დროს „სომხური საკითხი“ ჩვენში მეტად აქტუალური გახდა. ვფიქრობ, ამაში გარკვეული როლი სომეხთა პატრიარქის ვიზიტმა და ამ ვიზიტის პერიპეტეზებაც ითამაშა. ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შეიძინა შეთქმულების თეორიულ-გამომდინარე „ეთნიკური შინიღების“ პრობლემა. ვფიქრობ, ჩვენში მედია ზედმეტად გაერთო ამ თემებით. ნათქვამია, ყველაფერს მხოლოდ სულელები ლაპარაკობენო. ამდენ ლაპარაკს კი ნამდვილად აჯობებდა, სერიოზულად გაგვეანალიზებინა შექმნილი მდგომარეობა და კონკრეტული პროექტები მოგვემზადებინა მისაღობი რეალური გარეთულების თავიდან ასაცილებლად.

– ოპოზიციასაც უნდა გეთხოვოთ. ზოგი მათგანი მოსახლეობას ხან საქონელს უწოდებს, ხან საკუთარ თავს ამადლის; ზოგიც „ქრისტიან-დემოკრატობისა“ თუ „მემარჯვენეობის“ მანტიას ამოფარებულა და ხელისუფლების ნასუფრადი იკვებება...

– ამ საკითხზე, მგონი, ნაწილობრივ უკვე ვთქვი. ე.წ. ოპოზიციური ლიდერების საჯარო გამოსვლების, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ დღეს იმდენი მასალა დაგროვდა, რომ მათი უკომენტარო ციტირებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ საზოგადოებამ საბოლოოდ გარიყოს ისინი და განდევნოს პოლიტიკიდან. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ამბიციურად და ცინიკურად ე.წ. კვალიფიციური (!) პარტიები იქცევიან. მათ რატომღაც პვინიათ, რომ პოლიტიკური წარმატების საწინდარი მხოლოდ სიცრუე, დემაგოგია და უხეირო მანიპულაციების გამოყენებაა. დეკარტეს ცნობილი სენტენცია – „ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ“ – მათ წარმატებით ჩაანაცვლეს პლემბურ-მდაბიური ფორმული: „წარსულად, მაშასადამე, ვარსებობ“... ძნელი წარმოსადგენი ნამდვილად არ უნდა იყოს, რას მოიმოქმედებენ ისინი, თუკი ხელისუფლების დაქინებული ხელშეწყობით პარლამენტში შესვლას

მოახერხებენ.

– პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია წლების წინ აფრთხილებდა როგორც შევარდნაძის, ასევე სააკაშვილის ხელისუფლებას, რომ რუსეთთან მზარდმა კონფრონტაციამ და ნატოში გაწევრების აკვიტებულმა ილუზიამ კატასტროფამდე მიგვიყვანა. 2008 წლის აგვისტოში კატასტროფა უკვე მოხდა, ანტირუსული რიტორიკა და ნატოზე ბოღვა კი გრძელდება, ანუ თავი თხრას აგრძელებს...

– ოცი წელიწადია, რაც ალექსანდრე ჭაჭიას ვიცნობ და თავს მის მეგობრად მივიჩნევ. წაკითხული მაქვს მისი თითქმის ყველა ნაშრომი, მეტიც: დამეგობრება მიმიტოვებია მასთან საუბრებში. ამიტომ შემიძლია თამამად გავიმეორო ჩემი მოსაზრება ამ მეცნიერისა და მოღვაწის შესახებ.

ალექსანდრე, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფოსია. ის ზედმიწევნით იცნობს ამ დარგის მთელ არსენალს. მისი მეცნიერული მეთოდოლოგიის არსი კი გულისხმობს ერთიანი ფილოსოფიური აზროვნების სისტემაში ისეთი დისციპლინების კონცენტრაციას, როგორცაც, მაგალითად, ისტორია, პოლიტოლოგია, კულტუროლოგია და რელიგია. ამიტომ არის, რომ პოლიტიკური პრობლემების ანალიზისას ის წარმოვიდგება არა მხოლოდ როგორც პოლიტოლოგი, არამედ როგორც პოლიტოლოგიის ფილოსოფოსი, ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში – ისტორიის ფილოსოფოსი, კულტუროლოგიის ფილოსოფოსი და ა.შ.

ალექსანდრე ჭაჭია ახალი ტიპის მოაზროვნეა. საკმაოდ შორეულ ისტორიულ პერსპექტივაზე ორიენტირებული პროგნოზირების იშვიათი სიხუსტე კი მისი კომპლექსური მეთოდოლოგიის უდავო წარმატებაზე მეტყველებს. ასეთი მეთოდოლოგია, თავისთავად, ჰაეროვით სჭირდება ქართულ პოლიტოლოგიურ სკოლას, რომელიც, სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით ჩვენში არც კი არსებობს.

– ჩამოვაშორეთ სტურუა თეატრს, ცოდნა – განათლების სისტემას, ჩაერეცხოთ ინტელიგენცია, მეცნიერება, გაეროყოფა ყველა, ვინც ორმოც წელიწადს გადაცილებულა, გეარგოთ ტერიტორიები, მოვაწყეთ ორგანიზაციები, ანუ ვეზიაროთ ამერიკულ სულს?

– ბნ რობერტ სტურუას ჩემი ქომაგობა ნაკლებად სჭირდება. მისი ჭეშმარიტი ქომაგი მისივე ხელოვნებაა. წლების განმავლობაში თეატრალურ ინსტიტუტში სწორედ თეატრმცოდნეობებს უკუითხავედი ლექციების კურსს და მესმის, რა ძნელია იყო კარგი რეჟისორი, დიდი რეჟისორობა კი საერთოდ იშვიათი სიძნელის მოვლენაა.

რატომღაც მგონია, რომ ბნ რობერტ სტურუას საერთოდ რომ არ ეთქვა ის ცნობილი ფრაზა, მას მაინც გაათავისუფლებდნენ სამხატვრო ხელმძღვანელობიდან; ამ მიზნის მისაღწევად ან დასს აუჯანყებდნენ, ან თეატრის რომელიმე პრობლემის მოუგვარებლობაში დასდებდნენ ბრალს, ანდა სულაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე გაუშვებდნენ თეატრიდან (მსგავსი შემთხვევებით სავსეა ჩვენი თეატრების ისტორია და ასეთი ფაქტები არავისთვის უცხო არ არის).

საქართველოში თითქმის არ დარჩენილა თეატრი, სადაც სამხატვრო ხელმძღვანელი რომელიმე ამ წესით არ გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან და იქ ხელისუფლებას „თავისი“ კადრი არ დაენიშნა. ის ხომ გულმოდგინედ ძეგლავს ასეთ „კადრებს“. ამ ხელისუფლებამ უკვე ზედმიწევნით აითვისა სამოცდაათი წლის წინანდელი საბჭოური ლოზუნგი – „კადრები წყვეტენ ყველაფერს“, მაგრამ ვინაიდან ეს გოგობიჭები წერა-კითხვაზე ერთობ მწყრალად არიან, სიტყვა „წყვეტენ“ სულ სხვა მნიშვნელობით გაიგეს და კადრების სრული „გაწყვეტის“ გზას დაადგინეს.

მე კი რატომღაც ისევ ჩვენი აკაკი მახსენდება:

“აქამდე ძველ დროს მოეთქვამდი, ახლა ახალსაც ეტირიო“...

ესაუბრა ლილი მირიტაძე

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები...

დაიბადა 1913 წლის 29 სექტემბერს, იტალიაში. თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში "პრო ვერჩელი", "ლაციო", "ტორინო", "იუვენტუსი", "ნოვარა" (იტალია). ათლეტური აღნაგობის მქონე ეს ცენტრფორვარდი გამოირჩეოდა თამაშის აგრესული და თითქმის ძალისმიერი თამაშის სტილით...

დაიბადა 1904 წლის 2 ივლისს, ჩეხოსლოვაკიაში. თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში "სლოვანი" (პრაღა), "ბუბენეცი" (ბუდიონოვიცე), "სლავია" (პრაღა), ჩეხოსლოვაკია. 1930-იან წლებში ფრანტიშეკ პლანისკა ითვლებოდა ცენტრალური ევროპის საფეხბურთო სამყაროს უძლიერეს მკარედ...

დაიბადა 1901 წლის 14 ოქტომბერს, შოტლანდიაში. თამაშობდა კლუბებში "რაიტი" შოტლანდია, "პრესტონი", "არსენალი" ინგლისი. ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული რვა მატჩი მაინცა და მაინც სახარბიელო მანქანებელი არ გახლავთ ოცდაათიანი წლების მსოფლიო ფეხბურთის ისეთი გამორჩეული ინსაიდისათვის...

იუმორი

მოახლე პირველ დღეს დიასახლისს ურიგდება: - 150 ლარი თვეში. - მაწობს, ქაღალტონი. - კატა მყავს, კატას როგორ ეწოდები? - ეგ არაფერი, როცა მშობილა, შემწვარი კურდღელიც მიჭამია. * * *

სომხები გარეგინ მეორის გადადგომას ითხოვენ

სომხური საზოგადოება ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის, გარეგინ მეორის გადადგომას ითხოვს. სომხური ეკლესიის მეთაურის წინააღმდეგ კამპანია ფეისბუქზე დაიწყო, სადაც სპეციალური ჯგუფიც არის გახსნილი, სახელწოდებით „მოვიტხოვთ კათოლიკოსის გადადგომას“...

სასწრაფოდ მიღებულ ბადაყვირები და ნაბავსიძეობა

2011 წელს საკრებულოს სხდომაზე, როცა ტარიფის ზრდას თხოვნიყვნების არგუმენტების წინააღმდეგ იცავდნენ და ამართლებდნენ „პოზიციონერები“, თბილისის მერის მოადგილე ხიზანეიშვილი სოციალურად დაუცველებს შეღავათიან გადასახადს დაჰპირდა. „250 ათასი ოჯახი, თვეში, თითოეული 200 კვტ სთ-მდე ელექტროენერჯიას ხარჯავს. მათგან 81 ათასზე მეტი - 50 კვტ სთ ელექტროენერჯიას. ამ და სოციალურად გაჭირვებული 100 ათას ქულაზე ნაკლებს მქონე ოჯახებისთვის დასუფთავების გადასახადი შემცირდება. შესაბამისად, მოსაკრებელი გაძვირდება მხოლოდ თბილისის მოსახლეობის 25 პროცენტისთვის“...

ISSN 1987-8966 ილოხი
9771987896009
აპირიკაპს პირიკაპსი პირიკაპსი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანი
სარედაქციო საბჭო:
ზაურ ბახარია, თაყაი ქორიკია,
თაგვიზ ჯაბალაშვილი, კლიპანტი ვალია,
გივი სომხიშვილი, ანზორ შონია,
გიორგი სიჭინავა
ბიზნესპარტნიორი: მიხეილ როდრიგოვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილოხის" გაცნობა
შეგიძლიათ
საინფორმაციო-
ანალიტიკური სააგენტო
"საქინფორმის"
გვებგვერდზე
WWW.saqinform.ge